საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 27 აგვისტო. 2020 წ. №106 (9032) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

აურზაური „პატრიოტების“ ილორში ყოფნის გამო!

დე ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი თანამდებობიდან გადადგა

③

ისტორიისა და ქვეყნის სიყვარულზე დაფუძნებული ხედვა...



სოფელ ძველ აბაშაში, ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და სამუზეუმო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 3 მილიონი ლარია.

მიმდინარე სამუშაოებს პირველი პრეზიდენტის შვილები გიორგი და კონსტანტინე გამსახურდიები, „ქართული ოცნების“ აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის მაჟორიტარობის კანდიდატი ალექსანდრე მოწერელიასთან და აბაშის მერთან ერთად გაეცნენ.

„დღეს ალეკოსთან ერთად, მე და კოკომ ბაბუაჩვენის მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები მოვინახულეთ. დიდი პროექტია, რომელიც, ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ხორციელდება. სწორედ ესაა ისტორიასა და ქვეყნის სიყვარულზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი ხედვა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აშკარად აქვს“, — წერს სოციალურ ქსელ Twitter-ში გიორგი გამსახურდია.

არაეფექტური ოპოზიცია და ამომრჩევლის მესამე გზა...

④

ვინ ვის „დაჭამს“?!

ალმას ჯოკუა:

③

თარხან-მოურავი თანახმაა, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს



⑥

სტალინს რომ სდომოდა, ეს ავტონომიები არც იქნებოდა!

ვინ

⑧

ურევს ვითარებას ბელორუსში?!

სუკ-ის საიდუმლო იარაღი – ბოქვენის ტილები „არამზადების შეთქმულებაში“

⑨

„ძალი ღმრთისაი სადაცა დაადგრეს“...

⑦



გიორგი გახარიამ და მაია ცქიტიშვილმა რწმუნებულები „დამოძღვრეს“!

მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ სახელმწიფო რწმუნებულებთან მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა საქართველოს რეგიონებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობის საჭიროებები განიხილეს. საუბრისას ყურადღება გამახვილდა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების უმოკლეს ვადებში გადაწყვეტასა და იმ საკოორდინაციო ფუნქციის ეფექტიანად აღსრულებაზე, რომელიც რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებს ეკისრებათ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობისთვის პრიორიტეტულია, მოქალაქეების წინაშე არსებული ნებისმიერი პრობლემა მოკლე ვადაში და ეფექტურად გადაიჭრას. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დროულად გამოვლენას და მათი მოგვარების კუთხით ოპერატიულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მთავრობის მეთაურმა სახელმწიფო რწმუნებულებს დაავალა, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი რეგიონებში არსებული იმ ეკონომიკური პოტენციალის განვითარებას, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

სებასტიან მოლინეუსი: საქართველოში ბიზნესგარემო გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, იგი მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია!

განაცხადა **მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევის შედეგების შეფასებისას.** როგორც მან აღნიშნა, საწარმოთა კვლევა მეტად მნიშვნელოვანი კვლევაა, რომელიც აფასებს ქვეყნის კერძო სექტორის სიჯანსაღეს და ფაქტიურად, ერთ-ერთია იმ რამდენიმე კვლევას შორის, რომელიც გლობალურია თავისი დაფარვით.

„ჩემთვის მეტად სასიამოვნოა საუბარი საწარმოთა წლევანდელ კვლევაში საქართველოს შედეგების შესახებ. მსოფლიო მასშტაბით, საწარმოთა კვლევის ჯგუფი გაესაუბრა, დაახლოებით, 164 000 წამყვან მეწარმესა და კომპანიის გენერალურ დირექტორს 144 ქვეყანაში. საქართველოში გამოიკითხა 581 საწარმოს გენერალური დირექტორი და მეწარმე. 2019 წლის მარტიდან 2020 წლის იანვრამდე პერიოდში. კვლევის შედეგები ძალიან საინტერესოა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მეწარმეები, ფირმების დირექტორები, აქ, საქართველოში გაცილებით ნაკლებ დროს ხარჯავენ რეგულირების ტვირთის გამო საგადასახადო განაკვეთებთან და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებართვების აღება გაცილებით სწრაფად ხდება სხვა ქვეყნებთან შედარებით, და ზოგადად, ბიზნესგარემო გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში,“ — აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა.

მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა კორუფციისაგან თავისუფლების მიხედვით საქართველოს მიერ მიღწეულ შედეგზე. მისი თქმით, **ქვეყანაში თვალსაჩინოა ხელსაყრელი ბიზნესგარემოს არსებობა და ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ამავე დროს, მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა აღნიშნა, რომ რჩება გამოწვევები, რომელიც ძირითადად, დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, სამშენებლო ნებართვების აღებასთან (სხვა მსგავს ქვეყნებთან შედარებით), დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან, ადეკვატური განათლების მქონე შრომით რესურსებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაიჭრას.**

საქართველო ქრთამის აღების შემთხვევების სიმცირითა და მოსყიდვის წნეხისგან თავისუფლების მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ათეულებში მოხვდა, — ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაავრცელა.

ნათია თურნავა: ჩვენ კორუფციისგან თავისუფალი ბიზნესგარემო ჩამოვაყალიბეთ, რასაც მსოფლიო ბანკის კვლევაც ადასტურებს

„ჩვენ ჩამოვაყალიბეთ კორუფციისგან თავისუფალი ბიზნესგარემო. ნებისმიერი ბიზნესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეუძლია, ყოველგვარი მოსყიდვის, წნეხის და შიშის გარეშე ისარგებლოს ყველა სერვისით, რასაც მას ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები სთავაზობენ. საქართველოში რომ აბსოლუტურად გამჭვირვალე, კორუფციისგან თავისუფალი ბიზნესგარემოა, ამას მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც საქართველო, გამოკვლეულ ქვეყნებს შორის, ყველა პარამეტრის მიხედვით ტოპ-ათეულშია“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

ხათუნა ლაგაზიძე: ოპოზიცია დამარცხებისთვის ემზადება

ოპოზიცია ერთმანეთთან ბრძოლით „ოცნების“ წისქვილზე უშვებს წყალს, ორიენტირი აერია და მთავარ სამიზნედ ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად, გიორგი ვაშაძე გაიხადა.

ასე ეხმაურება პოლიტიკის საკითხებში ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე „ლეიბორისტული პარტიის“ ეზოში გაერთიანებულ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს და პუნქტებად ასახელებს პრობლემების იმ ჩამონათვალს, რაც დღეს ოპოზიციაშია.

ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ ოპოზიცია, ვიდრე დროა, უნდა გამოფხიზლდეს. საჭეს მიხედეთ, საჭეს, სანამ კიდევ გვიან არ არის!, — წერს ლაგაზიძე სოციალურ ქსელში.

თბილისს საზრუნავს რა გამოუვლევს!

მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** რამდენიმე განცხადება გააკეთა.

— საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბაღებში სასწავლო პროცესი პირველი ოქტომბრიდან დაიწყება. საუბარი იყო, რომ 15 სექტემბრიდან დაწყებულიყო, თუმცა არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, კოვიდ 19-თან ბრძოლაში, გვინდა თანმიმდევრული ვიყოთ. საბჭოზე მსჯელობის შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სასწავლო პროცესი სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა დროს განახლდეს, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მოადგილე ილია ელოშვილს დაავალა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე, პროდუქტების დარიგების სოციალური პროექტი გაგრძელდეს.

ამასთან, დედაქალაქის მერმა მოადგილეებს, საქალაქო სამსახურების უფროსებს და გამგებლებს კიდევ ერთხელ დაავალა, რომ ის თანამშრომლები, რომლებსაც დისტანციურად მუშაობა შეუძლიათ, ამავე რეჟიმში დატოვონ.

თბილისის მერმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებასა და დედაქალაქში სატრანსპორტო დერეფნების მოწყობის საკითხზეც ისაუბრა. აღინიშნა, რომ სატრანსპორტო დერეფნების მოწყობის შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოცდის დრო 7-დან 15 წუთამდე შემცირდება.

უახლოეს დღეებში მუნიციპალიტეტი სატრანსპორტო დერეფნების საკითხის დეტალური განხილვის მიზნით, საჯარო შეხვედრას გამართავს, რომელშიც ქართველი და უცხოელი სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას.

სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ასევე, „ჭკვიანი შუქნიშნების“ შესყიდვაა. შესაბამისი ტენდერი უკვე გამოცხადებულია და უახლოეს მომავალში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება.

გარდა ამისა, თბილისის მერმა მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს დაავალა, გლდანის მიკრორაიონებში, ამსვლელ-ჩამომსვლელ ქუჩებზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის საპროექტო სამუშაოები დღესვე დაიწყოს.

კახა კალაძის განცხადებით, ვეკუა-ხიზანიშვილის ქუჩებზე შესრულებული სამუშაოებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლაც უნდა მოხდეს, რათა საზოგადოება სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდეს.

„ჭარბ ნალექს რაც შეეხება, მართლაც საოცარი მდგომარეობა იყო. ალბათ, ბევრმა ნახა ვიდეოკადრები, თუ რა ხდებოდა იმ დღეს გლდანში. მე როგორც წავიკითხე გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემები, ბოლო 20 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 5-ჯერ აღირიცხა ასეთი უხვი ნალექი, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მინდა, მერიის შიდა აუდიტის სამსახურს დავავალო, რომ აუცილებლად დაიწყოს მოკვლევა როგორც შესრულებულ სამუშაოებზე, ასევე საპროექტო დოკუმენტაციაზე, რათა საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მუნიციპალიტეტის სხდომაზე წარადგინა ფოტომასალა, სადაც ჩანს, რომ ვეკუა-ხიზანიშვილის ქუჩებზე არსებული ცხაურები საყოფაცხოვრებო ნარჩენებითაა ამოვსებული. მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემა, რომელიც წყალუხვობით იყო გამოწვეული, აუცილებლად უნდა მოგვარდეს, რისთვისაც შესაძლოა, უფრო დიდი ცხაურების დამონტაჟება გახდეს საჭირო.

კახა კალაძემ ასევე აღნიშნა, რომ ძლიერი წვიმის დროს, ორივე ცენტრალურ ქუჩაზე წყალი მიკრორაიონებიდან ჩამოედინება, რადგან იქ სანიაღვრე სისტემა არ არსებობს.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მომავალი კვირიდან ვაკის პარკის რეაბილიტაციას იწყებს, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. დედაქალაქის მერის განცხადებით, პროექტი სხვადასხვა შეხვედრის, კვლევისა და რეკომენდაციის საფუძველზე დამუშავდა. მისი განხორციელების შედეგად, ვაკის პარკისა და კასკადის პირვანდელი იერსახე შენარჩუნდება.

სამუშაოების ფარგლებში, სრულად შეიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები, სანიაღვრე სისტემა, განახლდება მწვანე საფარი და საპარკე ინფრასტრუქტურა, პარალელურად კი, შადრევნების კასკადის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.

„როგორც იცით, პარალელურად, ვაკის პარკის შადრევნების კასკადის პროექტირება მიმდინარეობს, რის შემდეგაც, მის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერს გამოვაცხადებთ. პროექტის განხორციელებას დაახლოებით, ორი წელი დასჭირდება. გარკვეული შეზღუდვების დაწესება მოგვიწევს, თუმცა, ყველაფერს ისე დავგეგმავთ, რომ მოქალაქეებს რაც შეიძლება ნაკლები დისკომფორტი შევუქმნათ. გპირდებით, თბილისელებისთვის ვაკის პარკიც საამაყო პროექტი იქნება, ისევე როგორც „მზიურის“, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი, ასევე, გლდანის მე-6 მიკრორაიონში არსებული რეკრეაციული სივრცე“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ᲐᲣᲠᲖᲐᲣᲠᲘ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲚᲝᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ!

ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

„ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ წევრების აფხაზეთში ვიზიტთან დაკავშირებული სკანდალის გამო დე ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი ლაშა საკანია თანამდებობიდან გადადგა.

„ძვირფასო მეგობრებო, 2020 წლის 18 აგვისტოს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საზოგადოებაში არ გავზარდოთ დაძაბულობა, გადავწვიტე, საკუთარი ნებით დავტოვო თანამდებობა. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ მე ყოველთვის და ყველგან დავიცავ ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს!“, — წერს საკანია სოციალურ ქსელში.

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ოკუპირებულ აფხაზეთში გადასვლის შესახებ ინფორმაცია 20 აგვისტოს „მთავარმა არხმა“ გაავრცელა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საკითხებში, პარტია „აფხაზეთის სახალხო ფრონტის“ ხელმძღვანელი ლაშა საკანია ქართულ მხარესთან ყოველგვარ მოლაპარაკებებს უარყოფს. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას კი, რომელსაც სულ ორიოდ დღის წინათ ასევე უარყოფდა, მოგვიანებით, „წმინდა ჰუმანიტარულ აქციად“ მოიხსენია.

მოსკოვიდან დაბრუნებული საკანიას ახალი კომენტარი 24 აგვისტოს აფხაზურმა მედიამ გაავრცელა. მასში, ნათქვამია: **„მინდა, სიცხადე შევიტანო იმ თემასთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო დღეებში აქტიურად განიხილება აფხაზურ საზოგადოებასა და სოცქსელებში და რომელთან დაკავშირებითაც ახსენებენ ჩემს სახელს. აგვისტოს დასაწყისში მომმართეს ძველმა მეგობრებმა რუსეთის ფედერაციიდან და მთხოვეს, დახმარება გამეწია საქართველოდან ღვთისმშობლის ხატის ილორის მონასტრისთვის ძღვენის სახით გადაცემაში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დავით თარხან-მოურავმა მიმართა. შესაბამისად, რუსმა მეგობრებმა მთხოვეს, მომეხდინა აფხაზეთში ჩამოსვლის და ხატის გადაცემის ორგანიზება, რაც გაკეთდა კიდეც. ამით ჩვენი მისია ამოიწურა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც მე, არც ჩემს თანაგუნდელ ალექსანდრე აგრბას, რომელიც ჩემი თხოვნით წამომყვა, არავისთან არანაირი მოლაპარაკებები არ გვიწარმოებია — ეს წმინდა ჰუმანიტარული აქცია იყო, რომლის შესახებაც რუსმა მეგობრებმა ყოველგვარი პოლიტიკური ასპექტებისა და შედეგების გარეშე მთხოვეს. ხალხმა ხატი ჩამოიტანა, მონასტერს გადასცა და ილოცა. ამით მათი ვიზიტი დასრულდა. ჩვენი მხრიდან არავის უცდია ამის გასაიდუმლოება და მით უფრო ამის პოლიტიკად ქცევა. როგორც მორწმუნეები, გულწრფელად ვთვლით, რომ ხატის გადაცემა კეთილი და ღვთისნიერი საქმეა. გალის რაიონის ხელმძღვანელობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო კი საქმის კურსში სწორედ იმიტომ არ ჩავაყენე, რომ ამ ჰუმანიტარულ ღონისძიებას პოლიტიკური სტატუსი არ მისცემოდა“.**

24 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე ირმა ინაშვილმა დაადასტურა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ლომიასთან ერთად.

„დიახ, ნამდვილად ვიყავით. ჩვენ ღვთისშობლის ხატი დავაბრძანეთ ილორის ტაძარში“, — განაცხადა ინაშვილმა.

მოგვიანებით მან თავის „ფეისბუქში“ პირად გვერდზე ილორის ტაძარში გადაღებული ფოტოებიც გამოაქვეყნა.

25 აგვისტოს სოხუმში „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტის გამო დე ფაქტო პრეზიდენტის თანაშემწის გადადგომა მოითხოვეს.

„ვერც ერთ საშინელ სიზმარში ვერ ვნახავდი იმას, რაც ცოტა ხნის წინათ მოხდა. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან 12 წლის განმავლობაში ამ დონის სახელმწიფო მოღვაწე აფხაზეთში არ ყოფილა. ქვეყანა დაღლილია და აქციების მოწყობას არავინ აპირებს, მაგრამ ლაშა საკანიამ თანადებობა უნდა დატოვოს“, — განაცხადა გალის ოკუპირებული რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა თემურ ნადარიამ შეხვედრაზე, სადაც „სახალხო კრების დეპუტატები“ მიიწვიეს.

ᲐᲚᲛᲐᲡ ᲯᲝᲞᲣᲐ: ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲝᲡ

— ᲐᲛᲘᲡ შესახებ განცხადებას ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატი ალმას ჯოპუა აკეთებს და კოლეგებს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებთან თანამშრომლობის დაწყებისკენ მოუწოდებს.

პატრიოტების ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტს მძაფრი რეაქცია მოჰყვა სეპარატისტებშიც. თანამდებობა „პატრიოტების“ მასპინძელმა დეპუტატმა ლაშა საქანიამ უკვე დატოვა. „თარხან-მოურავის პატრიოტების ოკუპირებულ მხარეში სტუმრობის საკითხთან დაკავშირებით, დე ფაქტო აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. შეხვედრას ე.წ. პარლამენტის დეპუტატებიც ესწრებოდნენ. ამ საგანგებო შეხვედრაზე დეპუტატმა ალმაზ ჯოპუამ განაცხადა, რომ დავით თარხან-მოურავი სხვა პარტიების ლიდერებისგან განსხვავებით, რეალობას ობიექტურად აღიქვამს.

„თარხან-მოურავის განცხადებებიდან ჩანს, თავადაც შეგიძლიათ ინტერნეტში ნახოთ, რომ ის ითხოვს დღეს შექმნილი რეალობის აღიარებას. დღეს, როდესაც საქართველოში ყველა პარტია ხალხს აფხაზეთის დაბრუნებას ჰპირდება, ეს პოლიტიკური შანტაჟია. თარხან-მოურავი კი ითხოვს, რომ რეალობა იქნას აღიარებული, — ამბობს ოკუპირებული რეჟიმის ე.წ. დეპუტატი. „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის ირმა ინაშვილის თქმით, უახლოეს მომავალში ბრიფინგს გამართავს, სადაც პარტიის აფხაზეთში ვიზიტის დეტალებზე ისაუბრებს.

2000-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ სამუშაოდ წასვლის ნებართვა საქართველოს 2000-ზე მეტმა მოქალაქემ უკვე მიიღო. ამის შესახებ გუშინ აჭარის მთავრობის სხდომაზე, აჭარის მთავრობის მეთაურმა თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა.

მთავრობის თავმჯდომარე ამბობს, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს, რომ შესაბამისი მოწვევის მქონე მოქალაქეებმა ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვით მოახერხონ სამუშაოდ წასვლა.

„დღეის მდგომარეობით, 2000-ზე მეტმა პირმა მიიღო მეზობელ ქვეყანაში სამუშაოდ წასვლის ნებართვა, ამავე დროს, ჩვენ ინტენსიურად ვაგრძელებთ მუშაობას, კომუნიკაციას მოქალაქეებთან, რომ შესაბამისი მოწვევის წარმოდგენის შემთხვევაში, არავის შეექმნას დაბრკოლება მათი კონკრეტული მიზნებისა და საქმიანობის განხორციელებაში და ასევე, საზღვრის კვეთა მოხერხდეს მინიმალური ბარიერებით“, — განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ᲠᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ დაშვება მოხდება პირბადით და თითო სკამის გამოტოვებით მოხდება ადამიანების განთავსება, — ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა ბექა ფერაძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ზოგადი რეკომენდაცია თერმოსკრინინგისა და დეზინფექციის ჩატარების შესახებ კინოთეატრებშიც უცვლელი რჩება.

„მოგახსენებთ იმ რეკომენდაციებს, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან იქნება დაწესებული. ზოგადი მოთხოვნები, რაც შეეხება თერმოსკრინინგის ჩატარებასა და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელებას, უცვლელი რჩება. 5 კვადრატულ მეტრზე იქნება ერთი ადამიანის დაშვება, ასევე განისაზღვრება ღონისძიების ჩატარების დროის ზედა ზღვარი. ამ შემთხვევაში თეატრს ვგულისხმობ, ეს იქნება 3 საათი, რომელიც მოიცავს მომხმარებლის როგორც შენობაში შესვლის, ისე დატოვების პროცესს. ღონისძიება უნდა გაიმართოს უწყვეტად, ანტრაქტის გარეშე“, — განაცხადა ბექა ფერაძემ.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ საკოორდინაციო საბჭოს ოპერაციული შტაბის უფროსმა ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა განაცხადა.

„დაბა მესტიასა და ლენჯერში მიმდინარეობს ინტენსიური ტესტირება, რომელიც ჩვენ გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ გადაწყვეტილება, 2 სექტემბრიდან გაიხსნას აღნიშნული სოფლები. დაბა მესტიასა და ლენჯერში 2 სექტემბრამდე გაგრძელდება ინტენსიური ტესტირების რეჟიმი, რომელიც ხელს შეუწყობს პრევენციას და სურათის ნათლად ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილება საბავშვო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეტაპობრივი მიდგომა უკიდურესად მნიშვნელოვანია მობილობის შესამცირებლად. შესაბამისად, 15 სექტემბრიდან გაიხსნება სკოლები, 1 ოქტომბრიდან კი საბავშვო ბაღები. ინტენსიურად ვმუშაობთ უმაღლეს სასწავლებლებთან, რის შესახებაც მიღებულ გადაწყვეტილებას ეტაპობრივად მოგაწვდით. გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილება თეატრების გახსნასთან დაკავშირებით. კინოთეატრები გაიხსნება 15 სექტემბრიდან, თეატრები კი 1 ოქტომბრიდან“, — განაცხადა ხოჯევანიშვილმა.

ვინ ვის „დაჭამს“?!



არაეფექტური ოპოზიცია და ამომრჩევლის მესამე გზა...

ფუჭად მოლაყბე „ლეიბორისტების“ ეზოში გაერთიანებული ოპოზიცია ნამეტნავად არაეფექტურია. ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებში ხმებს არა ხელისუფლებასთან დაპირისპირების, არამედ მათი არაეფექტურობის გამო დაკარგავენ, ხოლო მათი დევიზი – „ყველა ერთის წინააღმდეგ“, არ გამოვიდა!

ძალიან კრიტიკულად აფასებს ოპოზიციურ ფრონტზე არსებულ დაპირისპირებას „2020NEWS“-თვის მიცემულ ინტერვიუში პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**. მეტიც, მისივე თქმით, ოპოზიციის ქმედებებით გაიზრდება ნეიტრალური ამომრჩევლის რაოდენობა და ისინი არჩევნების დღეს სახლში დარჩებიან.

და მაინც, რატომ არ უნთებს ერთმანეთს ოპოზიცია მწვანე დერეფნებს, რატომ არის ღია დაპირისპირება ოპოზიციაში, რა შეცდომებს უშვებენ დაპირისპირებული ფლანგები, სწორედ ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე საუბრობს პოლიტოლოგი სააგენტოსთან.

– არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, საზოგადოებამ ოპოზიციის დიდი დაპირისპირება იხილა. როგორ აისახება ეს ყოველივე მათ პოლიტიკურ ფრონტზე და რაზე მეტყველებს ღიად მათი ასეთი დაპირისპირება?

– არჩევნები არჩევნებია. მოგეხსენებათ, პარტიები რაც შეიძლება მეტი მანდატის მოსაპოვებლად იბრძვიან. ამ შემთხვევაში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის. ისიც და ოპოზიციური პარტიებიც მეტი მანდატისთვის იბრძვიან. თუ ერთს მანდატები მეორე ოპოზიციურმა პარტიამ წაართვა, როგორც ჩანს, ამით პირველი ბედნიერი არ იქნება. **ამიტომ აღარ დაიწყო ოპოზიციამ ერთმანეთისათვის მწვანე დერეფნების კეთება,** ანუ დათმობა. ყველა მაქსიმუმის მიღებას ცდილობს.

უჩვეულო არაფერი ხდება. ყველა ქვეყნის არჩევნებში ეს არის პრინციპი. თავისთავად ამ საკითხში, თუ რატომ არიან ოპოზიციური პარტიები ერთმანეთთან დაპირისპირებაში, ამაში არაბუნებრივს არაფერს ვხედავ. დაპირისპირებაში იმიტომ არიან, რომ ერთმანეთის კონკურენტები გახლავან.

როდესაც პარტიები აცხადებენ – „ყველა ერთის წინააღმდეგო“, ალბათ ბუნებრივმა პროცესმა თავისი გაიტანა და „ყველა ერთის წინააღმდეგ“ არ გამოვიდა.

– ერთ დღეს ვხედავთ, რომ ოპოზიციური პარტიები მემორანდუმს აფორმებენ, მეორე დღეს კი, დაპირისპირების მორიგ სერიას ვუყურებთ, როგორ ფიქრობთ, ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველზე რამდენად იქონიებს გავლენას ეს ყოველივე და ოპოზიციურ სპექტრს ელექტორალურად დააკარგვინებს თუ არა ამომრჩეველს?

– ამომრჩევლისათვის (ამომრჩევლის პოზიციიდან) ყველაზე კარგი არის ორპარტიული სისტემა, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისშია.

იქ თუ ერთი პარტია არ მოგწონს, ხმას მეორე პარტიას აძლევ. პოლიტიკური სპექტრი აღარ არის 15 პარტიად გაყოფილი.

ამდენი აქტორების აწონვა, გადაწყვეტილების მიღება, თუ საით გაიწევს ესა თუ ის პარტია და ვის რა აქვს კარგი – ამომრჩეველს ამდენი ტვინის ჭყლეტის თავი არ აქვს. მას თავისი საქმე აქვს. რაც უფრო მარტივი იქნება ალტერნატივები, ყოველთვის უკეთესია!

> სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ჩვენთან პროცესები ამ გზით არ წავიდა, მაგრამ ამ ვარიანტს უახლოვდება. ბევრმა წინააღმდეგობებმა ოპოზიციის შიგნით, თვითონ ოპოზიციის მოქმედებებში არალოგიკურობამ, არასწორად აგებულმა პიარმა მოიტანა ის, რომ **ოპოზიციის მიმართ მთლიანობაში ბევრი ამომრჩეველი აღმოჩნდება ნეიტრალური. ასევე, ვისთვისაც მიუღებელია ხელისუფლება, ისიც არჩევნების მიმართაც იქნება ნეიტრალური და სახლში დარჩება.**
>
> **ჩვენ გვინახავს ასეთი არჩევნები, როდესაც ამომრჩევლის დიდი პროცენტი სახლში დარჩა, რაც ძალიან ხშირია. ამომრჩევლის გამოყვანა საარჩევნო ყუთებთან ერთ-ერთი რთული საკითხია. თუ ამომრჩეველს იმედი ეძნება გაცრუებული ამ ჭრელ ოპოზიციაში და არ ენდომება არც ხელისუფლება, სახლში დარჩება. ეს იქნება მესამე გზა.**

– ოპოზიციაში შექმნილი დაპირისპირება იმოქმედებს თუ არა მმართველი გუნდის სასარგებლოდ ?

– ჯერჯერობით, პროცესები მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიდის. ოპოზიციაში შექმნილი გაუგებრობა, რა თქმა უნდა, მმართველი პარტიისათვის სასარგებლო იქნება.

მმართველი პარტია მინიმალურ შეცდომებს უშვებს, ოპოზიციური პარტიები კი, ძალიან ბევრ შეცდომებს, **თუნდაც გიორგი ვაშაძე ირაკლი ოქრუაშვილს რომ დაუპირისპირდა და – პირიქით!**

ზოგადი სტრატეგიის თვალსაზრისით, ეს, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯებია, რასაც მმართველი პარტია თითქმის არ აკეთებს.

– იმ შემთხვევაში, თუკი 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, არჩევნების მეორე ტურები დაინიშნება, ოპოზიციის ეს შემადგენლობა მოახერხებს თუ არა, რომ კონსენსუსს მიაღწიოს და ხელახალმა დაპირისპირებამ თავი არ იჩინოს?

– ოპოზიციის პრობლემა შიდა დაპირისპირებები არ არის. მათი პრობლემა არის ის, რომ დიდი ნაწილი – ნათელაშვილის ეზოს ოპოზიციაში შეკრებილი პარტიების უმრავლესობა – არ უნდა მოსახლეობას. მათ დაბალი რეიტინგი აქვთ.

„ნაციონალური მოძრაობა“ დიდ ნაწილს არ უნდა იმიტომ, რომ 9 წელი ახსოვთ, თუმცა ამომრჩევლის რაღაც პროცენტი მათ ჰყავთ. დანარჩენი პარტიების მიმართ ინტერესები კი ძალიან დაბალია.

ინტერესები დაბალია იქიდან გამომდინარე, რომ არაეფექტურები არიან. მთლიანობაში რომ ვთქვათ, დღეს არაეფექტური ოპოზიცია გვყავს.

არაფექტური ოპოზიცია ერთმანეთთან შეთანხმდება, თუ ერთმანეთისგან გაირიყება, რა მნიშვნელობა აქვს?! არც ერთად შეკრული უნდა ისინი ბევრს, სწორედ ამიტომ, მათი ჯამური რეიტინგი ძალიან მცირეა და საზოგადოებას არც ცალ-ცალკე გაყოფილი მოსწონს...

ამ რეალობასთან გვაქვს საქმე. ძებნა მიზეზებისა იმაში, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ამიტომ შეიძლება დაკარგონ ხმები, რაღაც პროცენტით შესაძლებელია, მაგრამ ისინი იმიტომ კარგავენ ხმებს, რომ როგორც პოლიტიკური პარტიები, არაეფექტურები არიან. თვალი ამ სიმართლეს უნდა გაუსწორონ.

ესაუბრა
ანა ქორჩილავა

გვჭირდება „აზროვნების ცენტრები“

> ჭკუას ჩვენს ქალაქში ვინ შემოუშვებს – „კანტრაბანდაა“.
>
> ალექსანდრე ცაგარელის „სანშა“

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ფრენსის ფუკუიამას აზრით, ჩვენ ვცხოვრობთ იდეათა ვაკუუმში და რომ დღეს ისე, როგორც არასოდეს, გვჭირდება დისკუსიები, ახალი მიდგომები, ახალი იდეები. ამჟამად ამ საკითხებზე ინტენსიურად მუშაობენ ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კონტინენტზე არსებული ე. წ. **აზროვნების-გონის ცენტრები (Think Tank)**. განსაკუთრებით ბევრია ისინი ჩრდილოეთ ამერიკაში (XXI საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა მსოფლიოში 5000 აჭარბებდა, აქედან 40 პროცენტზე მეტი – აშშ-ში). თავისი არსით ისინი საკმაოდ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრებია, რომლებიც ერთი მხრივ წარმოადგენენ მეცნიერების სეგმენტს, ქმნიან რა მაღალმეცნიერულ დონეზე შექმნილ პროდუქტს, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ასრულებენ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს. მაგალითად: წარმოშობილ გამოწვევებსა და პრობლემებზე საზოგადოებას აწვდიან რეალურ ალტერნატივებს, ამუშავებენ სტრატეგიებს, მიდგომებს, მოდელებს და ა. შ. აქტიურად მონაწილეობენ კანონების მიღებაში. განსაკუთრებით დიდია ამ ცენტრების როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დარგში. ამიტომაც უცხოეთის სახელმწიფოები დაინტერესებულები არიან მათთან თანამშრომლობით. ზოგიერთ ცენტრს 20-ზე მეტი დამფინანსებელი სახელმწიფო ჰყავს. მათ შორის არიან როგორც მაღალგანვითარებული ქვეყნები – გერმანია, იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ასევე, ლატვია, ჩერნოგორია და სხვ.

ინდუსტრიული სამყაროს შემდეგ, XXI საუკუნეში დადგა ახალი ინფორმაციული ეპოქა, სადაც საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ხდება ადამიანის აზროვნება, ინტელექტი, ანუ მისი უნარი, შექმნას ახალი ცოდნა. მარტივად რომ ვთქვათ, აზროვნება ნიშნავს პიროვნების მიერ ახალ უჩვეულო ვითარებაში გარკვევის უნარს. ამის მაგალითია ჩვენი მეზობელი – აზერბაიჯანი.

პროგნოზების თანახმად, აზერბაიჯანის შემოსავალი ინფორმაციული კომუნიკაციური სისტემიდან 2025 წელს მიაღწევს ნავთობის სარეწებიდან მიღებულ შემოსავალს, შემდეგ კი გაუსწრებს (Вопросы истории 2019 №9 ст. 164).



რომაელები ამბობდნენ, სიღარიბე მოწმობაა ჭკუასუსტობისო. დიახ ხშირად პრობლემებს ქმნის არასწორი მიდგომები, არასწორი აზროვნება. რადგან სიღარიბისა და შიმშილის მიზეზია არა რესურსების ნაკლებობა, არამედ მათი არასწორი განაწილება. არასწორი განაწილება კი ხდება მაშინ, როცა რესურსების პატრონს ჭკუა არ ყოფნის, ან არაკეთილსინდისიერია (უფრო ხშირად კი, როცა ორივეს ნაკლებობას განიცდის, რადგან გული, ცნობა და გონება ერთმანეთზე ჰკიდიაო, ასე გვიანდერძა უკვდავმა შოთამ).

ანტიკური მოძღვრების თანახმად, სახელმწიფო იქ იღუპება, სადაც ხალხს კარგისგან ცუდის გარჩევა არ შეუძლია. ჯერჯერობით უმეცრებაზე და უზნეობაზე აშენებული ქვეყანა არავის უნახავს. 1970 წელს მეცნიერებმა აღმოაჩინეს უჯრედის უცნაური თვისება – ფენომენი, როცა უჯრედი არ სჭირდება ორგანიზმს, ის იწყებს თავისი თავის განადგურებას, რაც საშიშია მთელი ორგანიზმისთვის. ჩვენ ირგვლივ არსებული მოვლენები ადეკვატურ რეაქციებს მოითხოვს.

ზემოთქმულის თანახმად, აუცილებლად და გადაუდებლად მიგვაჩნია ე. წ. „კრიზისულ სიტუაციათა ანალიზის ცენტრის“ შექმნა. იქნებ 300 წლის შემდეგ მაინც მოვაბათ თავი „სწავლულ კაცთა კომისიის“ შედგენას, რომელიც ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ შექმნა XVIII საუკუნის დასაწყისში.

მედეა თავდიშვილი
555-39-69-45

რამდენს მიიღებს ქვეყანა?..

სითბოს ფულიც მოაქვს...

„სამხრეთკავკასიური მილსადენის“ სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსთვის

უახლოეს თვეებში, სამხრეთის გაზსადენის პროექტის დასრულებით, საქართველოს გავლით, ევროპა აზერბაიჯანულ გაზს მიიღებს. TAP-ის მეოთხე პროექტით, სრულდება ერთმანეთთან დამაკავშირებელი 3500 კილომეტრის სიგრძის სამი გაზსადენის მშენებლობა.

„სამხრეთკავკასიური მილსადენი“ (SCP-690 კმ) აზერბაიჯანს, საქართველოს გავლით, აკავშირებს თურქეთთან. „ტრანსანატოლიური მილსადენი“ (TANAP-1900 კმ) თურქეთს აკავშირებს საბერძნეთთან. „ტრანსადრიატიკული მილსადენი“ (TAP-870 კმ) საბერძნეთიდან, ალბანეთისა და ადრიატიკის ზღვის გავლით, სამხრეთ იტალიამდე მიდის. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და რას მიიღებს ქვეყანა 45-მილიარდიანი პროექტისგან, ამის შესახებ დღეს ანალიტიკოსი ენერგეტიკის საკითხებში ლიანა ჯერვალიძე გვესაუბრება:

— პროექტის მნიშვნელობა არის ძალიან დიდი. ჩვენ ვართ სატრანზიტო ქვეყანა, ჩვენ ვართ კარიბჭე ცენტრალურ აზიასა და კასპიისპირეთში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სატრანზიტო პროექტი, რომელიც დაუკავშირებს ცენტრალურ აზიას კასპიისპირეთს, აზერბაიჯანს, ევროკავშირთან, აქვს კრიტიკულად სტრატეგიული მნიშვნელობა. სამხრეთული გაზის კორიდორზე დიდი ხანია არის მუშაობა და როგორც იქნა გავიდა ფინალურ სტადიაზე. 2018 წელს გაიხსნა თურქეთში ტრანსანატოლიური გაზსადენის პროექტი, რომლითაც დაიწყო თურქეთისთვის გაზის მიწოდება შაჰდენიზის მეორე ფაზიდან. ასევე წლის ბოლომდე უკვე უნდა გაიხსნას ტრანსადრეატიკული მილსადენი, რომელიც საბერძნეთიდან მილსადენით აზერბაიჯანულ გაზს მიაწვდის იტალიას. ეს პროექტები არის ევროპული გაზის ბაზრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მართალია, რაოდენობრივად დიდი არ არის, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის ნამდვილად არის, იმიტომ, რომ ეს არის ალტერნატიული გაზი, რომელიც მიეწოდება ევროკავშირის ბაზარს და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მოახდენს ბულგარეთის და საბერძნეთის დივერსიფიცირებას. როგორც ბულგარეთს, ისე საბერძნეთს, ძირითადად რუსული გაზი მიეწოდებოდა. მართალია საბერძნეთში გაიხსნა თხევადი გაზის სადგური, საიდანაც შეიძლება გაზის მიწოდება საბერძნეთის შიდა მოხმარებისთვის, მაგრამ ამ პროექტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბერძნეთისთვის, ვინაიდან, 1 მილიარდი კუბური მეტრი გათვალისწინებული არის საბერძნეთისთვის და ასევე, საბერძნეთი ხდება ალტერნატიული გაზის მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა ევროკავშირისთვის.

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოსთვის ასევე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს აძლიერებს ჩვენს სატრანზიტო ფუნქციას. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს გაზის მიწოდების დივერსიფიცირების თვალსაზრისით, ვინაიდან ჩვენ შეგვეძლება გაზრდილი რაოდენობის მიღება გამომდინარე იმ ხელშეკრულებებიდან, რომელიც არსებობს სამხრეთული გაზის კორიდორის და ასევე „შაჰდენიზი“-ის პროექტთან დაკავშირებით.

— ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში სრულად უნდა დახარჯულიყო 2 მილიარდი დოლარი, აქედან 400 მილიონი იყო მომსახურება და საქონლის შეძენა უშუალოდ საქართველოში, რაც ასეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრებია. თუ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეს პირობა?

— რა თქმა უნდა, სრულად შესრულდა. ეს იყო მილსადენის გაფართოებისთვის ქვეკონტრაქტორების მომსახურება.

— დასაქმებასთან დაკავშირებით, ასევე 2 ათასამდე ადამიანის დასაქმება იგეგმებოდა და საბოლოოდ 130 სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემოსავლები, რა ციფრებზეა ლაპარაკი ამ შემთხვევაში?

— სრულად 130 სამუშაო ადგილი რამდენადაც ვიცი, არ არის, მაგრამ მიახლოებით არის. ჩვენ ამ შემთხვევაში ფულად შემოსავლებზე ნაკლებად გვაქვს საუბარი, ვინაიდან, საქართველომ არჩია სატრანზიტო ფულადი მოსაკრებლის ნაცვლად შემოსავალი იყოს ნატურით, ანუ გაზით. აქედან გამომდინარე, რაც მეტი გაზი გაივლის ჩვენს სიწა-წყალზე გამავალი ინფრასტრუქტურის გავლით, მით მეტი შეიძლება მივიღოთ როგორც სატრანზიტო ქვეყანამ. მაგალითად, შაჰდენიზის მეორე ფაზაზე გათვალისწინებულია 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გატარება. 16 მილიარდი კუბური მეტრიდან, 2018 წელს, თურქეთმა უკვე დაიწყო იმ 6 მილიარდის მიღება, რომელიც თურქეთის ბაზრისთვის არის გათვალისწინებული. 10 მილიარდი კი უნდა მიიღოს ევროკავშირის ქვეყნებმა, მათ შორის იტალიამ 8 მილიარდი, 1 მილიარდი ბულგარეთმა და 1 მილიარდი საბერძნეთმა, როგორც კი დამთავრდება საბერძნეთ-ბულგარეთის დამაკავშირებელი მილსადენის მშენებლობა. ეს 16 მილიარდი, რასაკვირველია, აისახება ჩვენი გაზის ბაზრის ფონდზე, ვინაიდან ჩვენ გვაქვს გატარებული გაზის 5%-ს მიღების შესაძლებლობა.



აქედან გამომდინარე, გარკვეული გატარებული გაზის ოდენობა დარჩება საქართველოში. ამის გარდა, ჩვენ როგორც სატრანზიტო ქვეყანას, გვექნება შესაძლებლობა, რომ გარკვეული შეღავათიანი ფასით მივიღოთ კომერციული გაზი და ვფიქრობ, ამაზე მოლაპარაკებები არის, მით უმეტეს, რომ ახლა ხელსაყრელი სიტუაციაა, რადგანაც ევროპაში ნავთობზე და გაზზე მოთხოვნა არის შენელებული და მეტი შანსი აქვთ, საქართველომ წარმატებით აწარმოოს მოლაპარაკებები კომერციული გაზის შესყიდვაზე ფასის იმ სეგმენტში, რომელიც უფრო მისაღებია. თავდაპირველი გათვლებით აზერბაიჯანული გაზი ევროპის ბაზარზე უნდა გაყიდულიყო 400 დოლარად, თურქეთში 350 დოლარად, ახლა ასეთი ფასები არ არის, იმ ვითარების გამო, რაც პანდემიამ შექმნა. აქედან გამომდინარე, ჩვენ, ალბათ, გვექნება საშუალება, რომ უფრო ეფექტურად ვაწარმოოთ მოლაპარაკებები, თუ დაგვჭირდა დამატებითი რაოდენობის გაზის შესყიდვაზე. თუ აზერბაიჯანს ექნა შესაძლებლობა, რომ გარდა იმ 16 მილიარდისა კიდევ ანარმოოს, რადგანაც აფშერონის საბადოზე არის შესული ფრანგული კომპანია „ტოტალი“ და „სოკართან“ ერთად აპირებს გაზის წარმოების დაწყებას, ეს სერიოზული საბადოა, თუ იქიდანაც წამოვიდა გაზი ევროპის მიმართულებით, რასაკვირველია, იმ 16 მილიარდს გარკვეული რაოდენობა კიდევ დაემატება და საქართველოს ექნება შესაძლებლობა კიდევ მეტი რაოდენობის გაზი მიიღოს ნატურით. ამიტომ, ამ პროექტის მნიშვნელობა არის ძალიან დიდი როგორც სტრატეგიული, ისე შიდა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია ენერგომატარებლები და ჩვენთვის ეს ძალიან ხელსაყრელია.

— ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით რას უნდა ველოდეთ?

— ძალიან კარგია, რომ ჩვენ სამხრეთური გაზის კორიდორიდან მივიღებთ დამატებით რაოდენობებს. თქვენ იცით, რომ სომხეთში გატარებული გაზიდან ნატურით ვიღებდით და გადავედით უკვე თანხობრივ ანაზღაურებაზე, იმ თანხით, რაც არის სომხეთში რუსული გაზის გატარების ღირებულება, ჩვენ ვყიდულობთ გარკვეული რაოდენობის გაზს, ეს არის მცირე რაოდენობა, ჩვენს შიდა ბალანსში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გაზს, რომელსაც ვიღებთ აზერბაიჯანიდან როგორც სატრანზიტო ქვეყანა. ის ჩვენი გაზია, ეს არ არის „სოკარი“-ს გაზი, ეს არის გაზი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია სოციალური გაზის ფასი მოვაწესრიგოთ ისე, რომ შიდა ბაზარზე ფასი არ გაიზარდოს, იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ბაზარზე მოხდება გაზის ფასის ზრდა. დღეისათვის, საერთაშორისო ბაზარზე ფასები არის დაცემული, აქედან გამომდინარე, ჩვენ კომერციული გაზის თვალსაზრისით უნდა გვქონდეს ხელსაყრელი პირობები. ფაქტობრივად, ჩვენი სოციალური გაზის 50% არის ის გაზი, რომელსაც ჩვენ ვიღებთ როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მას ერევა ის კომერციული გაზი, რომელსაც „სოკარი“-სგან ვყიდულობთ და ამით ვაბალანსებთ სოციალური გაზის ფასს. კარგი იქნება, თუ მოვილაპარაკებთ, კონტრაქტები, რომელიც დღეს მოქმედებს, 2025 წლის შემდეგაც გვექნება იგივე პირობები.

— პროექტი სრულად ამუშავების შემდეგ ევროპის რა პროცენტს დააკმაყოფილებს?

— ძალიან ცოტას. ევროკავშირის გაზის მოხმარება არის 450 მილიარდი კუბური მეტრი წლიურად. ასეთი იყო პანდემიამდე. ამაში 10 მილიარდი არაფერი არ არის. მაგრამ, ეს არის პირველი ეტაპი იმისათვის, რომ შემდეგ წამოვიდეს ცენტრალური აზიიდან გაზის დიდი რაოდენობა.

— რუსული გაზის მნიშვნელოვნად ჩანაცვლება მოხდება?

— არა, ევროპას ეს ამინდს ვერ შეუქმნის, მაგრამ ამ პროექტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის ალტერნატიულად მიწოდებული არარუსული გაზის პირველი შემთხვევა.

— ევროპის ბაზარზე რუსული გაზის რა პროცენტია?

— პანდემიამდე „გაზპრომი“ 450 მილიარდიდან, დაახლოებით, 200 მილიარდს აწოდებდა. დაახლოებით ბაზარზე ჰქონდათ 40%. აქ მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვინ მოიპოვებს და ვინ ყიდის. რუსულ გაზს ყიდის მარტო „გაზპრომი“. აზერბაიჯანში კი, გაზს მოიპოვებს და ყიდის არა მარტო აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“, არამედ სხვა კომპანიებიც და მათ აქვთ თავიანთი ბაზრები ევროპაში.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

HAQQIN.AZ: ბაქო-თბილისის ღერძი სწორედ ისაა, რაც რეგიონის სტაბილურობას სჭირდება

— ამ სათაურით სარედაქციო სტატიას აზერბაიჯანული გამოცემა Haqqin-ი ავრცელებს. სტატიის თანახმად, ინციდენტი, რომელიც უკავშირდებოდა სომხეთში იარაღის მიწოდებისთვის საქართველოს სატრანზიტო პუნქტად გამოყენებას, ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა გონივრული ნაბიჯების წყალობით ამოწურულია. ავტორის შეფასებით, ამ საკითხზე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ღრმად გააზრებულმა ოპოზიციამ იმედი გაუცრუა მათ, ვინც ბაქოსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუარესებას ელოდა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, წარუმატებელი აღმოჩნდა ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებულ ტრადიციულ, მრავალსაუკუნოვან, ძმურ და მეგობრულ ურთიერთობებში განხეთქილების გაჩენის მცდელობა. ქვეყნის მეთაურები წამიერ ემოციებსა და ინტერესებზე უფრო მაღლა დადგნენ და დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ განასხვავონ ერთმანეთისგან სტრატეგია და გაუგებრობა, რომელიც ყველაზე კარგ მეზობლებს შორისაც კი შეიძლება მოხდეს.

„ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ მტკიცედ აღკვეთა სომხეთისთვის განკუთვნილი იარაღის მიწოდების კიდევ ერთი მცდელობა — ოფიციალურმა ბაქომ მაღალი შეფასება მისცა თბილისის ქმედებებს და ამით ორი ქვეყნის მეთაურებმა დანარჩენ მსოფლიოს მკაფიო მესიჯი გაუგზავნეს. თუმცა მხოლოდ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის პრინციპული პოზიციის წყალობით, რომელმაც იარაღის სატრანზიტო გზით მიწოდების პრობლემა სახელმწიფოთაშორის დონემდე აიყვანა, მხარეებმა შეძლეს, გაენეიტრალებინათ ყველა საფრთხე, რომელიც ორი მოძმე ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის პერსპექტივას ემუქრებოდა.

ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობას ციფრებიც ადასტურებს. წლის ბოლომდე ევრაზიის მთელი რეგიონი ელოდება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ რეალიზაციას. გარდა ამისა, აზერბაიჯანული კომპანიები საქართველოში გადასახადების ყველაზე მსხვილ გადამხდელებს შორის არიან. უახლოეს დროში აზერბაიჯანული კომპანიები ახალი მსხვილი პროექტების განხორციელებას გეგმავენ, რაც ეკონომიკურ თანამშრომლობას კიდევ უფრო განავითარებს.

ქართული ისტებლიშმენტის საღად მოაზროვნე წრეები მიხვდნენ მმართველი პარტია „ქართული ოცნების“, მისი დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიერ ბაქოს მიმართ არჩეული კურსის სისწორეს და ეს კურსი მჭიდრო თანამშრომლობასა და ძლიერ კავშირებს ითვალისწინებს. ბაქო-თბილისის პოლიტიკურ-ეკონომიკური ღერძი კეთილმეზობლობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სრულყოფილი მოდელია და რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს.

კეთილმეზობლობის გამყარების კიდევ ერთი ფაქტორია საქართველოში ცხოვრები აზერბაიჯანელების მდგომარეობა, რასაც ბაქო ყოველთვის ყურადღებით აკვირდება. ის, რომ აზერბაიჯანული თემი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ცხოვრებაში, მათ შორის არჩევით თანამდებობებს იკავებს — რაც, სხვათა შორის, არ ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის დროს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორ ქვეყანას შორის დაახლოება გრძელდება.პირველად ისტორიაში, სწორედ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ზაურ დარგალი ჩაუდგა. მულტიკულტურულ ქართველ საზოგადოებაში აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციაზე არაერთხელ მსჯელობდა „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი... — აღნიშნულია სტატიაში.

სტალინს რომ სდომოდა, ეს ავტონომიები არც იქნებოდა!

რა როლი მიუძღვის იოსებ სტალინს ცხინვალისა და აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორების საქმეში? რატომ არ იმაღლებდა ხმას, როცა ქართული მიწების გასხვისების პროცესი მიმდინარეობდა და საქართველოს წინააღმდეგ სერიოზული ნაღმები იდებოდა, ბუნებაში არარსებული ტერმინები, მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჩნდებოდა?

იმ პერიოდის მოვლენებიდან ბევრი რამ გაურკვეველია, მაგრამ ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოსთვის საბედისწერო 1921-22 წლებში, როცა ჩვენი მიწების გასხვისება ხდებოდა, ყველაფერს უმაღლესი პარტიული სტრუქტურები წყვეტდნენ, სტალინი კი თავად იბრძოდა საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად.

რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიას, ის 1922 წელს შეიქმნა, რადგან ოსი ბოლშევიკები დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ ავტონომიას ითხოვდნენ და არაფრად მიიჩნევდნენ მათი ხელით ქართველების დაღვრილ სისხლს.

როგორც ამბობენ, სტალინს ე.წ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება სურდა საქართველოს შემადგენლობაში. ცხინვალის რეგიონის ოსთა ლიდერი მას კრემლში ეწვია ე.წ. ორი ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების იდეით. სტალინს ეს იდეა მოეწონა, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა მიქოიანისა და სხვა ლიდერებისგან. სტალინი დაარწმუნეს, რომ ამ იდეის განხორციელებას შეიძლება ჩრდილო კავკასიის სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებშიც მსგავსი მისწრაფებები მოჰყოლოდა. თუნდაც კაზაკებს მოეთხოვათ საკუთარი რესპუბლიკა, ამას დაემატებოდა ბაშკირეთისა და თათრეთის მოთხოვნა რუსეთისგან გამოყოფის შესახებ. შემდგომ წლებშიც ოსურ ინტელიგენციას არაერთი მცდელობა ჰქონდა, საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებულიყო, თუმცა 37 წლის რეპრესიებმა ეს ინტელიგენცია იმსხვერპლა.

ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაიას** განმარტებით, ცხინვალის რეგიონის საკითხებში სტალინი ნაკლებად იყო ჩართული, მისი მიმართულება იყო ცარიცინის დაცვა და გადართული იყო პოლონეთის მიმართულებაზე. სტალინი იმ დროს საქართველოს ხაზით არ მუშაობდა და ქართული ბოლშევიკური ფრაქციის ბედი ჩაბარებული ჰქონდა ქავთარაძეს, ორჯონიკიძეს, მამია ორახელაშვილს, ელიავას.

„სტალინი ნაკლებად ერეოდა მაშინდელ ამიერკავკასიაში არსებულ სიტუაციაში. ის დაინტერესებული იყო, საქართველო გაწითლებულიყო, რადგან კარგად ესმოდა, როცა 1920 წელს რუსმა ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ბალტიისპირეთის გაწითლება, ლატვიელი ბოლშევიკების გავლენა ლატვიაში შემცირდა. სტალინი ფიქრობდა, რომ საქართველოს არგაწითლებაც მის შანსებს, ბოლშევიკურ პარტიაში დაეკავებინა პოზიციები, დააკნინებდა. რაც შეეხება საქართველოში ავტონომიების შექმნას, სტალინი ამაში სავარაუდოდ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო ლენინისა და ტროცკის იდეა, ეს არ იყო მაინცდამაინც სტალინის იდეა. ტროცკის სურვილი იყო, ე.წ. რეპრესირებული ეროვნული უმცირესობებისთვის, როგორც ისინი თვლიდნენ, მიენიჭებინათ რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური სტატუსი“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მისივე განმარტებით, როგორც კი სტალინმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, აფხაზეთის საკავშირო რესპუბლიკის სტატუსი მაშინვე გააუქმა, გააუქმა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც აფხაზეთს ჰქონდა ისეთივე რესპუბლიკის სტატუსი, როგორც საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს. ამ სტატუსის გაუქმების შემდეგ სტალინმა აფხაზეთი დაუქვემდებარა საქართველოს, როგორც ავტონომიური პოლიტიკური ერთეული. მერე მოხდა სტალინისა და ბერიას დაპირისპირება ლაკობასთან.

„1920-21 წლებში სტალინის პოზიციები ბოლშევიკურ პარტიაში არ იყო მაინცდამაინც ძლიერი. სტალინი კი იყო ეროვნული უმცირესობების კომისარი, მაგრამ სულ სხვა საქმით იყო დაკავებული. რეალურ ძლიერებას მან მაშინ მიაღწია, როცა 1922 წელს ბოლშევიკური პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს. ის გახდა ერთგვარი ტექნიკური ხელმძღვანელი, რომელმაც ტექნიკური თანამდებობა გადააქცია პოლიტიკურ თანამდებობად. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ტროცკის გადაყენებაც შეძლო სტალინმა მაშინ, როცა ტროცკი გაცილებით მაღალ თანამდებობაზე იყო, ვიდრე სტალინი. ფაქტობრივად, ტროცკი იყო საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი. სწორედ ტროცკიმ აუწია აფხაზეთს საკავშირო სტატუსი, ტროცკი და ლაკობა იყვნენ სტრატეგიული მეგობრები. ტროცკის საქართველო სულ არ აინტერესებდა, მას სურდა, ერებს წაეშალათ საზღვრები და დიდი თუ პატარა ერები გაერთიანებულიყვნენ ერთიან კომუნისტურ ინტერნაციონალურ სამყაროში“.

ეს ნიშნავს, რომ ტროცკის სულაც არ ადარდებდა, საქართველოში ხელოვნურად იარსებებდა თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთი. სხვათა შორის, ორჯონიკიძემ შეასრულა ტროცკის ეს მითითება, სტალინი ამას არ შეეწინააღმდეგებოდა, რადგან ეს იყო მაშინდელი ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზი. იმ პერიოდში ორჯონიკიძეს მეტი გავლენა ჰქონდა საქართველოზე, ვიდრე სტალინს. მამია ორახელაშვილი და სხვები სწორედ ორჯონიკიძის დაჯგუფების წევრები იყვნენ, ორჯონიკიძე კი ტროცკის მიერ იყო დასმული. ტროცკი და ორჯონიკიძე უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ორჯონიკიძე და სტალინი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე** მიიჩნევს, რომ რატომღაც ყველაფერი ბრალდება ორჯონიკიძეს, რომელიც იყო პაიკი. როდესაც იგი სტალინს აღარ დასჭირდა, ორჯონიკიძე იძულებული იყო, ან თავი მოეკლა, ან იგი მოკლეს. ასე უსწორდებოდა სტალინი ყოფილ ძველ ბოლშევიკებსაც, აბელ ენუქიძე იქნებოდა, თუ სხვა ვინმე.

„რა თქმა უნდა, სტალინს პირადად ჰქონდა ჩადებული რუსული იმპერიული იდეა, მას სწორედ იმისთვის სჭირდებოდა ეს ორი რეგიონი — აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომ მათი საშუალებით ყოველთვის გაეკონტროლებინა საქართველო. მისთვის საქართველო საკმაოდ მტრული რეგიონი იყო, მან აქ ვერ გაიმარჯვა, იგი სწორედ მოსკოვიდან შემოვიდა, ვერც არჩევნებში ვერ მიიღეს ბოლშევიკებმა პირველობა საქართველოში. როგორც ტროცკი წერს 1924 წლის აჯანყების შემდეგ, უნდა გადავხნათ მენშევიკური საქართველოო. ზოგი ამბობს, რომ არ დაუჯერეს ტროცკის, თუმცა სტალინი თვითონვე წერს თავის შრომებში, რომ თბილისი ეს არის საშინელი ბურჟუაზიული წარმონაქმნი და საწყალი აფხაზებიო. სტალინისტები ამას არ აქცევენ ყურადღებას, თავის დროზე აკაკი ბაქრაძემაც გამოაქვეყნა ეს შრომები. სხვათა შორის, საკმაოდ პრიმიტიული შრომებია, რომელიც სტალინისტებისგანაა განდიდებული, თითქოს გენიალურია, სინამდვილეში, არაფერი გენიალური არ არის“, — აცხადებს ვაჟა კიკნაძე.

კერძოდ, საკუთარ შრომებში სტალინი წერს, რომ თბილისი არ შეიძლება იყოს საქართველოს დედაქალაქი, რადგან ეს არის მრავალეროვანი ქალაქი, აქ უფრო მეტი არაქართველი ცხოვრობს. ვაჟა კიკნაძე ფიქრობს, რომ შეუძლებელია, ამის მთქმელი ადამიანი არ ჩავთვალოთ მაკრორუსული სტრუქტურის, ანუ ამ ავტონომიების შემქმნელად. სტალინს რომ სდომოდა, არ ყოფილიყო ეს ავტონომიები, არც იქნებოდა.

„ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ დაწესებაც რატომღაც ორჯონიკიძეს და სხვა რიგით ბოლშევიკებს ბრალდებათ, მაგრამ სტალინის თანხმობის გარეშე ეს არ შეიძლება მომხდარიყო. მისი შრომებიდან რაც ვიცი, ის საკმაოდ შიშით უყურებდა საქართველოს, ყველაზე კარგად მან იცოდა, რომ საქართველოს დამორჩილება ძალიან რთული იყო. ამიტომ მან, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო ამ ორი ნაღმის შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე. მით უმეტეს, მან თვითონვე ჩაწერა, რომ მისი მშობლიური ენა არის რუსული და ყოველთვის ამბობდა „დიდი რუსი ხალხი“. ის უკვე თავს მიიჩნევდა რუსული იმპერიის იმპერატორად“.

ვაჟა კიკნაძის მოსაზრებით, საქართველოსთვის სტალინმა არაფერი გააკეთა, პირიქით, ცნობილია ის ფაქტი, რომ სასულიერო სემინარიაში მისმა მასწავლებელმა კარბელაშვილმა როცა მისწერა წერილი, **„რა ხდება, საქართველო წალეკეს არაქართველებმა, ყველა ტაძარი იხურება, ინგრევა, სოსო, ნუთუ ქართველი კაცი არ ხარ?“** პასუხად სტალინმა არაფერი არ მისწერა მაშინ, მაგრამ მერე კარბელაშვილების მთელი ოჯახი, ძმები კარბელაშვილები უმძიმესი რეპრესიების ქვეშ მოყვნენ.

ამდენად, მეცნიერი ასკვნის, რომ არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რომ ამ ყველაფრის არქიტექტორი სტალინი იყო. მას როცა უნდოდა, ებრაელთა ავტონომიური ოლქიც კი შექმნა ციმბირში და ებრაელები იქ გადაასახლა. ამდენად, ზღაპარია, თითქოს მას არ შეეძლო საქართველოს საწინააღმდეგო პროცესის შეჩერება. უბრალოდ, ეს არის ქართველების მხრიდან ამ პიროვნების იდეალიზაცია და ბნელი საქმეებისგან მისი ჩამოშორების მცდელობა, რადგან სტალინი ძლიერი იყო, მათ შორის, დაუნდობელი მეთოდებით. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, სტალინის ფარული თუ აშკარა ხელშეწყობის გარეშე შექმნილიყო ეს ოლქები.

მანანა ნოზაძე

რედაქცია სთხოვს ქართველ ისტორიკოსებს და პოლიტოლოგებს, გამოეხმაურონ ამ მტკივნეულ, დღემდე დაუდგენელ სახელმწიფოებრივ პრობლემას და ჯანსაღი პოლემიკა გამართონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების გარშემო.

დაკარგული საქონელი საოკუპაციო ხაზთან...

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ კირბალში მცხოვრები ნინო გურწიშვილი შემოსავლის გარეშე დარჩა. მან ერთ დღეში სამი მეწველი ძროხა დაკარგა. ძროხები ნახირთან ერთად სოფელში აღარ დაბრუნდნენ. მწყემსმა თქვა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადავიდნენ. ოჯახმა ტყესთან ახლოს საქონელი დიდხანს ეძება, მაგრამ კვალს ვერ მიაკვლია. ტყე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებს აქვთ დაკავებული და ძროხების საძებნელად იქ შესულ მწყემსებს ხშირად აკავებენ ხოლმე. გურწიშვილის ძროხების საძებნად მწყემსი ტყეში აღარ შევიდა. რუსეთის მესაზღვრეებმა კი ძროხები უკან არ გამორეკეს. ნინო გურწიშვილი რძის პროდუქტებს ამზადებდა და ყიდდა, ეს მათი ოჯახის მთავარი შემოსავალი იყო.

კირბალში სულ შვიდი სული საქონელი დაიკარგა. დაზარალებულებმა ხელისუფლებას დახმარებისთვის მიმართეს, თუმცა დაკარგული პირუტყვის კვალს ვერც მათ მიაკვლიეს. დაზარალებული კირბალელები ხელისუფლებისგან კომპენსაციას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. სოფელ კირბალს ტყის მასივი ესაზღვრება, ტყე, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ არის ოკუპირებული. იქვეა სოფლის სასაფლაო და საძოვარიც. სოფლის მცხოვრებლებს ძროხები სხვაგან ვერ მიჰყავთ, ამიტომ იძულებულები არიან, ისევ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს გაუშვან საბალახოდ. იქ კი ხშირად საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ჩასაფრებებს აწყობენ და ხან მწყემსებს და ხან ძროხებს იტაცებენ. ომის შემდეგ სოფელი კირბალი იმით გახდა ცნობილი, რომ ამ სოფლიდან ყველაზე მეტ ადამიანს ე.წ საზღვრის დარღვევის ბრალდებით აკავებდნენ. ახლა ადამიანები უფრო ფრთხილობენ და ტყეში შესვლას ერიდებიან, მაგრამ ძროხების დაკარგვა უკვე ტრადიციად იქცა. ყოველწლიურად კირბალიდან ათობით სული ძროხა იკარგება. მსგავს შემთხვევას შარშანაც ჰქონდა ადგილი. მაშინ დაზარალებულ მოსახლეობას ხელისუფლებამ კომპენსაცია გადაუხადა, ამიტომ ახალდაზარალებულებსაც იმის იმედი აქვთ, რომ უყურადღებოდ არ დარჩებიან.

გორის მერის წარმომადგენელი სოფელ კირბალში დავით ცერცვაძე აცხადებს, რომ ყველა შესაბამისი ორგანო საქმის კურსშია და ძროხების მოსაძებნად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზიც ამოქმედდა. კირბალელები სამართალდამცავების პასუხს ელოდებიან, ისინი საქონლის დაბრუნებას ან კომპენსაციას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

გოგა აფციაური



„ძალი ღმრთისაი სადაცა დაადგრეს“...

კრებული „ახალი ელეაზარი“ (პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში) 2018 წელს გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ. შემდგენელ-რედაქტორი როსტომ ჩხეიძე – გვამცნობს წარწერა.

თითქმის ყოველ მხატვრულ ტექსტს (ლექსსა თუ პროზაულ ნიმუშს) ახლავს რედაქტორის მინაწერი. ჩვეულებრივ, ყოველგვარი მინაწერი, სქოლიო, კომენტარი, დანართი თუ სხვა მისთანანი მხატვრულ ნაწარმოებში (მთავარ ტექსტში) ნახსენები ან ნაგულისხმევი ამა თუ იმ რეალიის ახსნას, განმარტებას, ლიტერატურულ-კულტურული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონის აღდგენას ან მკითხველისთვის სხვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. რაც უფრო საფუძვლიანად და ღრმად არის ჩახედული რედაქტორი სამწერლო ცხოვრებაში, რაც უფრო განათლებული და იმავე დროს პატიოსანია, მითუფრო სრული, საინტერესო, დამაფიქრებელი, მრავლისმთქმელი იქნება მისი კომენტარებიც.

არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ ბატონი როსტომი საქმის არსს გულისგულში წვდება, სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის ოფიციალურ, სანდო წყაროებზე დაყრდნობით, არც კულუარულ ამბებს ივიწყებს. უფრო საგულისხმო კი ის მგონია, რომ ეს მინაწერები, გარდა საკუთრივ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობების მოწოდებისა, ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური თხრობის ნიმუში.

„კრებულის კომპოზიციურ აღნაგობას“, როგორც თვითონ ბრძანებს რედაქტორი წინათქმაში, სწორედ რომ ეს საოცარი მინაწერები ქმნის.

ხედვის რელიეფურობას, გარდა ოსტატობისა, დიდი გრძნობაც განაპირობებს. ყველა წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია ბატონი როსტომის მოწიწება და თაყვანისცემა პავლე ინგოროყვას პიროვნებისა და ღვაწლისადმი. ბევრზე ბევრი გამოქვეყნებული წერილი, ზეპირად წარმოთქმული სიტყვა, ინტერვიუ, საღამო, შეხვედრა, ვრცელი ბიოგრაფიული რომანი „ბედი პავლე ინგოროყვასი“, მეცნიერის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა (ხელნაწერების წიგნებად გამოცემა, ერთხელ დაბეჭდილის ხელახლა დასტამბვა, ტომების შევსება...), კიდევ არაერთი რამ ამტკიცებს როსტომ ჩხეიძის დიდ, დაუოკებელ სურვილს, მთელმა ქვეყანამ ისე გაიცნოს, ისე შეხედოს პავლე ინგოროყვას, როგორც თვითონ უყურებს - ძველი, დიდებული, ძლიერი, ერთიანი, მსოფლიო პროცესების კანონმდებელი სახელმწიფოს სახედ რომ წარმოუდგენია და გაუსიმბოლოებია.

თუნდაც პირველივე მინაწერი რედაქტორისა, პაოლო იაშვილის ლექსს „პავლე ინგოროყვას“ რომ ერთვის, წარმოაჩენს, როგორ მოკლედ, დაწნეხილად, დაწურულად გადმოგვცემს კომენტარების ავტორი ფართო, მრავალშრიან ინფორმაციას, მათ შორის გვაცნობს გვარის - ინგოროყვა - წარმოშობის გასარკვევად წარმოებულ კვლევათა დასკვნებს. დაწერილია თავშეკავებული, ლაპიდარული სტილითა და კილოთი, რაც შეშვენის ამ ტიპის დანართს და მაინც სტრიქონებს შორის ხელშესახებად გამოსჭვივის ავტორ-რედაქტორის მღელვარე, მგზნებარე დამოკიდებულება ყოველი, თუნდ წვრილმანი საკითხისადმი, რომელიც კი მის სულიერ წინაპარს რამენაირად უკავშირდება.

ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ ვრცლადა აქვს მოთხრობილი მწერალს ახალგაზრდა კაცის მიერ სიყვარულის გამო და სიყვარულის სახელით ჩადენილი რომანტიკული თუ გმირული, თუ ერთგვარად განუსჯელი ქმედებების შესახებ, თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსზე დართული მინაწერი კიდევ სხვა ხიბლით გადაგვიშლის ამ შერქმეული სახელის – ახალი ელეაზარი – ძალმოსილებას.

აკი კრებულს სათაურად ყველაზე უკეთ ეს შესიტყვება მოერგო. და არამარტო იმიტომ, თვითონ თითქმის მკვდარი ჭაბუკი ღვთის ხელით რომ ისევ გაცოცხლდა ბიბლიური ლაზარესავით, არამედ იმიტომაც, რომ ისევ ღვთის ნებით, რასაც კი მისი ხელი და კალამი შეეხებოდა, დიდი ხნის დავიწყებული და დამარხულ-დასამარებული, ისევ ცოცხლდებოდა და ახალი ძალით იწყებდა ნათებას.

პავლე ინგოროყვა თავისი მტკიცე, შეუვალი ლოგიკით, არგუმენტებით, მაგალითებით განმტკიცებული, ჩამთრევი მსჯელობით იმორჩილებს მკითხველის გულსა და გონებას. თავდადებული მუშაობის საფასურად ხშირად გაკილვას, გააფთრებულ თავდასხმებს ან სრულ იგნორირებას იღებდა. ნების რა სიმტკიცე, რამხელა გული, რკინის ნერვები, საკუთარი სიმართლის რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ კვლავაც დინჯად, აუმღვრევლად, დარბაისლურად განაგრძოს მეცნიერული ძიებებიცა და საქართველოს სიყვარულიც.

ქართველთა ცივილიზაციის ისტორიის ათვლა ხეთური სამყაროდან დაიწყო... უძველესი ფესვები მოჩხრიკა და დაგვანახა. ლიტერატურის ისტორია თავისებურად, არაორდინარულად გაიაზრა (მის მიერ მიგნებულმა მოდელმა ბიძგი მისცა ბატონ როსტომს, მნიშვნელოვანი წიგნის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ შესაქმნელად). ლიტერატურისა და ისტორიის კვლევა კვლევად, პოლიტიკური მოღვაწეობა ცალკე, პოეტობა და პოეტური სულის შენარჩუნება სამეცნიერო ნაშრომებში – ესეც აღსანიშნავია და ყველაფერთან ერთად უძველესი ქართული მუსიკალური ნიშნების ამოცნობა-გაშიფვრაც მან და მხოლოდ მან შეძლო. ეს აღმოჩენა მალევე აღიარა მსოფლიომ.

წარმოუდგენელია ერთი ადამიანისგან, მაგრამ, როგორც გიორგი მერჩულე ამბობს, „ძალი ღმრთისაი სადაცა დაადგრეს, ყოველსავე აღასრულებს უფროის ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა“.

საუკუნეთა სიღრმეში ისე იკვლევდა გზას, თითქოს თვითონაც იმ დროში ეცხოვროს, ხეთების თანამედროვე ყოფილიყოს, მერჩულისაც, ჰიმნოგრაფების, ჩახრუხაძისა და რუსთაველისაც, ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა... მერე უდიდეს აღმოჩენებს ისე ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა, რომ ნაკლებწიგნიერთათვისაც კი ყველაფერი ნათელი და ლოგიკური ჩანდა, თან საინტერესო და მოუწყინრად საკითხავი (მხოლოდ უკეთურნი ებრძოდნენ არალიტერატურული პოზიციებიდან და სრულიად შეუწყნარებელი, არაეთიკური ხერხებით).

პავლე ინგოროყვას ტომეულების თითოეული წიგნი იმხელაა, „ცხენიანი კაცი რომ ვერ გადაახტება“. კიდევ უფრო ფართო და დიდია ამ ნაწერების შინაგანი სივრცე – თავისუფალი აზრით განათებული. „გიორგი მერჩულეს“ ციხე-სიმაგრეს ადარებდა თურმე გრიგოლ რობაქიძე. აფსუს, როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო ჩვენი უახლესი ისტორია, იმ ციხე-სიმაგრისთვის თავის დროზევე რომ მოგვევლო და უპატრონოდ და უმოწყალოდ არ მიგვეტოვებინა.

როსტომ ჩხეიძის მიერ ამ კრებულით (და დაანონსებული მომდევნო წიგნებით) აგებული ციხე-სიმაგრეც შესაფერის-შესატყვისია იმ მკვიდრი შენობისა, პავლე ინგოროყვამ რომ დაგვიტოვა.

ამიტომაა, რომ „ახალ ელეაზარში“ ისტორიის ხმაც ისმის და თანამედროვეობისაც. იმასაც ვხედავთ, ვინ როგორ აფასებდა, რა პრიზმაში გარდატეხდა, მრუდე თუ უტყუარ სარკეში ასახავდა პავლე ინგოროყვას პიროვნებას, მის ნაშრომსა და ნაღვაწს. აშკარაა, რომ გულგრილად ვერავინ უვლიდა გვერდს, რაც, როგორც ჩანს, მეცნიერის ბუნებითა და ხასიათითაც იყო განპირობებული. იმასაც ცხადად ვგრძნობთ, როგორ გვჭირდება დღეს, როგორი ქმედითი შეიძლება იყოს, როგორ შეეხიდება ჩვენს სამომავლო რწმენასა და განწყობებს პავლე ინგოროყვას მიერ შექმნილი ქართული ცივილიზაციის ისტორია, რომლის ცალკეული ნაწილებიც იქნებ მთლად მივიწყებულადაც არ მივიჩნიოთ, მაგრამ არც იმ დიდებულებით ბრწყინავს და გვინათებს, როგორც ენატრება კრებულის რედაქტორს. რაღა რედაქტორს, თამამად შეიძლება ითქვას – ავტორს.

„ძმავ ინგორუყო! პოეტო ადრეო“, – მიმართავდა პაოლო იაშვილი მეგობარს. როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, თუმცა ლექსების წერა მიატოვა პავლე ინგოროყვამ, მაგრამ პოეტური სული და რომანტიკული მგზნებარება ბოლომდე შეინარჩუნა მეცნიერულ გამოკვლევებშიც. მართლაც, „რუსთველიანა“ და მისი სხვა რუსთველოლოგიური თხზულებანი, რომელნიც 2016 წელს ცალკე, ოთხ ტომად გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, განგვიმტკიცებს ამ მსჯელობის სიზუსტისა და უტყუარობის განცდას. ვალერიან გაფრინდაშვილიც ჭვრეტდა თურმე ამ გამოკვლევებში „ჰარმონიულ სინთეზს პოეტური და მეცნიერული აზროვნებისა“.

ვიქტორ გაბესკირია პავლე ინგოროყვას კომენტარებს მოიხსენიებდა, როგორც ღრმა ცოდნითა და პოეტური ალღოთი განმსჭვალულს. იმავეს თქმა ზუსტად, უმეტნაკლებოდ შეიძლება როსტომ ჩხეიძის მინაწერებზეც, რომელთა გარეშეც მხატვრული თხზულებების ხიბლს კი შევიგრძნობდით, მაგრამ სრულყოფილად – ვერა, ბევრი საგულისხმო რეალია დაგვრჩებოდა გაუთვალისწინებელი.

– შენს პავლეზე ვაპირებ ლექსის დაწერასო, - უთქვამს მამუკა წიკლაურს ბატონი როსტომისთვის, რომელსაც პავლე ინგოროყვას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდაზე ეგულება და, მგონი, ყველა გონიერი ქართველი მას ამაში ეთანხმება. რა სითბოს, სიყვარულს, აღიარებას, სულიერ სიახლოვესა და თანაზიარობას გულისხმობს ეს განსაზღვრება: „შენს პავლეზე...“ ეს იმ სულიერი მემკვიდრეობითობის გამოხატულებაა, რომელიც დღეს მრავალთათვის არის საცნობი და რომლის შესახებაც პირდაპირ და არაორაზროვნადაა გაცხადებული ელგუჯა მარღიას ერთ რობაიში.

– ფული რომანტიკული ყვავილია, იცოდეთ, როგორც ჩვენი ბებერი ფალავანი იძახის, ეს ვახტანგ ჯავახაძეა. ვინ არის ჩვენი ბებერი ფალავანი? კვლევა არ დაგვჭირდება. როსტომ ჩხეიძე იქვე (მინაწერში) გვამცნობს – ამ სიტყვებში პავლე ინგოროყვას გულისხმობს პოეტი. ასეთი საგულისხმო რეალიებით სავსეა მთელი წიგნი.

გიორგი ლეონიძის ნოველის პერსონაჟს, საქართველოზე, მის წარსულზე უზომოდ შეყვარებულ ჩორეხს რომ აშკარადა აქვს გამოხატული პავლე ინგოროყვას სული და ხასიათი, ამასაც როსტომ ჩხეიძემ მიაქცია ყურადღება და თუნდაც სხვა ვინმესაც გვაგონებდეს ჩორეხი, ეს მიგნება მაინც ფასდაუდებელია. ახლა ადვილია პერსონაჟის სახეში რომელიმე კონკრეტული პიროვნების დანახვა – ვისაც პირადად იცნობდა ავტორი ან არც იცნობდა, ვთქვათ, ბევრად ადრე დაბადებულის ან უფრო გვიან გაჩენილის. თუმცა მთავარი ნათქვამია – ჩორეხი განზოგადებული სახეა პავლე ინგოროყვასნაირი კაცებისა (სადღა არიან, თორემ...) და უშუალოდ კი თვითონ პავლე ინგოროყვაა მხატვრულად გარდასახული, თუნდაც „ნატვრის ხის“ ავტორს ასე არც ჩაეფიქრებინოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ გააშარჟა, მრუდე სარკეში ასახა, არც გმირად წარმოაჩინა და არც რომანტიკულ პიროვნებად. ვიღას ახსოვს ახლა „ბელადი“? ვინ კითხულობს? შეიძლებოდა, სულაც ამოკლებულიყო კრებულიდან, მაგრამ როცა შემდგენელი იმ ზნეობისა და წესიერების მიმდევარია, რომლითაც თვითონ პავლე ინგოროყვას ნაწერები (და ცხოვრებაა) აღბეჭდილი, რამეს შეგნებულად გამოტოვება და გვერდის ავლა რა სათქმელია!. იცოდეს მკითხველმა მიხა ქილიფთარის, „ბელადის“ ამ პერსონაჟის, არსებობაც. ბოლოს და ბოლოს ნაწარმოები მკითხველისთვის იწერება და თითოეულის ინტერპრეტაციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

ერთიანობაში კი „ახალ ელეაზარში“ შესული ოცდათოთხმეტი ავტორის გაცილებით მეტი პოეტური და პროზაული თხზულება ჩვენს სინამდვილეში მცხოვრებ სრულიად რეალურ და ამავე დროს არარეალურ, ლეგენდურ პიროვნებას ხატავს, ღვთაებრივ შუქში გახვეულს, შეუძლებლის შემძლეს...

* * *

1983 წლის ნოემბრის ერთ დღეს ორი ახალგაზრდა ქაშუეთის ზარების რეკვით ამცნობდა საქართველოს მისი უდიდესი ჭირისუფლისა და ერთი საუკეთესო შვილის ხორციელად განსვლას ამქვეყნიდან. ახლაც ისმის ზარების ეს ხმა – გუგუნი, ჟღრიალი, წკრიალი – უკვე არა მხოლოდ განდობილთა, არამედ ყველას გასაგონად და იმეორებს პავლე ინგოროყვასა და ამ სახელის გარშემო გაერთიანებული ადამიანების ანდერძს, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურიდან ღრმად აღბეჭდილს ჩვენს სულზე: „მოუარეთ საქართველოს!“

ნინო ვახანია,
სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი

ვინ ურევს ვითარებას ბელორუსში?!

ბელორუსის დასაცავად ლუკაშენკო მკაცრ ზომებს იღებს! ის მიიჩნევს, რომ ბელორუსში ფერადი რევოლუციების სცენარის გამოყენება სურთ. ლუკაშენკოს აზრით, ბელორუსის შემთხვევაში, ამ სცენარის ორიგინალობა იმაშია, რომ ამჯერად ძირითადი განმაპირობებელია საგარეო ფაქტორები, მაშინ, როცა სხვა ქვეყნების შემთხვევაში, ვითარებას შიგნიდან ურევენ და შიგნიდან დაამხობენ ხოლმე მოქმედ ხელისუფლებას. ამის გამო ლუკაშენკომ ბელორუსის დასავლეთი ტერიტორიის დაცვის განკარგულება გასცა, თავად კი თავის რეზიდენციაში ავტომატით ხელში გამოჩნდა.

ვინ „ურევს“ სიტუაციას ბელორუსში — დასავლეთი, თუ საპროტესტოდ განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა?

„საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი **თენგიზ ფხალაძე** აცხადებს, რომ ბელორუსში არსებულ საპროტესტო ტალღას შიდა მოვლენები განაპირობებს. რეალურად ეს არის იქაური საზოგადოების პროტესტი, რაც მოსახლეობის საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავს.

თენგიზ ფხალაძის შეფასებით, კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ვხედავთ საოცარ თვითორგანიზებას მაშინ, როცა ოპოზიციის ლიდერთა ნაწილი დაკავებულია, ნაწილი ქვეყანაში არ იმყოფება.

„თუ საუბარია უცხო ქვეყნების ჩარევაზე, უპირველეს ყოვლისა, ეს ჩარევა ხდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან, ეს არ შემოიფარგლება იმით, რომ თავის დროზე ბელორუსში იყვნენ „ვაგნერის“ მეომრები დაკავებულნი, არამედ რეალურად მიმდინარეობს სერიოზული ინფილტრაცია და მუშაობა, რასაც რუსები არც მალავენ. ანუ ორი მხრიდან არის რუსეთი ჩარეული, ერთი მხრივ, დესტაბილიზაციის მცდელობაში და, მეორე მხრივ, ოფიციალური ხაზით, რის შესახებაც ლაპარაკობს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, რომ ის მხარს უჭერს სტაბილურობას ბელორუსში. საქმე ისაა, რომ რუსეთი დიდი ხანია, ცდილობს, მაქსიმალურად დაიმორჩილოს ბელორუსი, რაშიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ლუკაშენკომ მას წინააღმდეგობა გაუწია. ასე რომ, პუტინი ახლა ყველანაირად ცდილობს, გამოიყენოს ეს ვითარება იმისთვის, ლუკაშენკოს დაანახოს, რომ მას არ აქვს სხვა გზა, გარდა რუსეთისა და, რომ ლუკაშენკო უნდა იყოს აბსოლუტურად მორჩილი იმისა, რასაც ამბობს პუტინი და რა დავალება თუ დირექტივაც მოდის პუტინისგან“, — აცხადებს თენგიზ ფხალაძე.

მისი განმარტებით, დასავლეთის სახელმწიფოებმა არ აღიარეს ეს არჩევნები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბელორუსის შიდა საქმეებში დასავლეთია ჩარეული და ვინმე რაღაცას აწყობს. უბრალოდ, დასავლეთმა დააფიქსირა, რომ ის მეთოდები, რაც არჩია ლუკაშენკომ, არ იქნა გაზიარებული. ამიტომაც ვხედავთ ევროკავშირის ერთიან პოზიციას, შეერთებული შტატების პოზიციას და ამ ფონზე, როცა წითელი ხაზები გაივლო, რუსეთის მხრიდან წამოვიდა მესიჯი, მერე რა, არც არაფერი მომხდარა, პირიქით, ჩვენ ყველაფერ ამას მხარს ვუჭერთ და, თუ საჭიროა, ჯარსაც დავახმართ ლუკაშენკოს.

ასე რომ, თენგიზ ფხალაძის შეფასებით, ღირებულებითი წყალგამყოფი ჩამოყალიბდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაც ჩადის ბელორუსში და რევოლუციას აწყობს. ასეთი რამ ძნელად წარმოსადგენია.

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** მიიჩნევს, რომ, თავისთავად, ფერადი რევოლუციები ამერიკული პროდუქტია, თეორიულად ამერიკაში შეიქმნა და მოხდა მისი წახალისება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ახლა რომ დავიჩემოთ, ამ რევოლუციებს რომელიმე ქვეყანაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და დასავლური სპეცსამსახურები დირიჟორობენ, არ ვიქნებით მართალი. რა თქმა უნდა, გარკვეულად, თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს იცავენ დასავლეთის ძლიერი ქვეყნები და მათი შესაბამისი სტრუქტურები, მაგრამ მთავარი ამ რევოლუციების დროს არის არა დასავლეთიდან წახალისებული პროცესები, არამედ თვითონ ამ ქვეყანაში არსებული სერიოზული პრობლემები — ეკონომიკური, სოციალური, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობა. ანუ მთავარია ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო მდგომარეობა და არა რომელიღაც სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული პროცესი და დასავლური საელჩოების თუ დიპლომატიური წარმომადგენლობების დირიჟორობა.

„თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეულ პროცესებში შესაბამისი მიმართულებით საელჩოებიც მოძრაობენ. ამის მაგალითი უკრაინაში წინა მმართველის, პოროშენკოს დროს სერიოზულად შეიმჩნეოდა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეს ადამ და ევადან ასე იყო. ლუკაშენკოს წინააღმდეგ ეს კამპანია მხარდაჭერილია დასავლეთის ქვეყნების მხრიდან, მაგრამ განა ის რეჟიმი, რომელიც ლუკაშენკომ ჩამოაყალიბა, არ იყო წინაპირობა იმისთვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბელორუსი ხალხი გამოიღვიძებდა და თავის პოზიციას გამოხატავდა?! ლუკაშენკომ შეძლო, რომ დღემდე ბელორუსი პოსტსაბჭოთა ისეთი ქვეყანაა, სადაც საბჭოთა ეკონომიკა, ფაბრიკები, ქარხნები შენარჩუნებულია, სოფლის მეურნეობის მართვისას აქ გამოყენებულ იქნა კოლექტიური ფორმები. ამავე დროს, ამას თან ახლავს სერიოზული საფრთხე, მიუხედავად ყველაფრისა, ბელორუსისთვის ძირითად საექსპორტო ქვეყნად რუსეთი და ყოფილი საბჭოთა სხვა რესპუბლიკები რჩება. ასეთ ვითარებაში „ბატკას“ ჭირვეულობა და თამაში დასავლეთისა და რუსეთის წინააღმდეგობებზე უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელებულიყო. 25 წელი როცა მართავს რომელიღაც ლიდერი ქვეყანას და იმით ამაყობს, რომ საარსებო ლუკმაპური მის მოსახლეობას აქვს და განვითარების არანაირ ხედვას, პერსპექტივას არ სთავაზობს თავის ხალხს, ბუნებრივია, ადრე თუ გვიან პროტესტი წარმოიშობა. ამიტომ აქ ლაპარაკი იმაზე, რომ დასავლეთის მიერ არის ეს პროცესი აბსოლუტურად მართული, გადაჭარბებულია“, — აცხადებს ვაჟა ბერიძე.

ანალიტიკოსი არც იმას გამორიცხავს, რომ დესტაბილიზაციას ბელორუსში არანაკლებ ახალისებდა და ხელს უწყობდა რუსეთი და პუტინი, რომელთანაც გაუთავებელი კინკლაობა ჰქონდა ბელორუსის ლიდერს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. არჩევნების წინ ლუკაშენკომ დაიჭირა კიდეც რუსეთის მოქალაქეები და დესტაბილიზაციის მოწყობაში დასდო ბრალი, დღემდე არ არის გარკვეული, ვინ იყვნენ ეს მოქალაქეები, რა მიზნით იყვნენ ბელორუსში. მოგვიანებით გაჩნდა ხმები, რომ იქიდან ისინი მიემგზავრებოდნენ მესამე ქვეყანაში და ჰქონდათ რაღაც კონტრაქტი, თუმცა რატომ მაინცდამაინც ბელორუსის გავლით, ეს გაუგებარია.

„ამიტომ პუტინს შესაძლოა, მობეზრდა კიდეც ჭირვეული „ბატკა“ და გადაწყვიტა მისი მოშორება, ჩანაცვლება, ან, თუ მოშორება და ჩანაცვლება არა, მორჯულება მაინც. ამ თვალსაზრისით, არეულობებმა თავისი შედეგი გამოიღო და დღეს უკვე პუტინისგან, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო დახმარებასაც კი ელის ბელორუსის ლიდერი, ორივე მხრიდან უკვე დაიწყო საუბრები რუსულ-ბელორუსულ ურთიერთობებზე. ვგულისხმობ სამოკავშირეო სახელმწიფოს იდეის გაცოცხლებას. საბოლოო ჯამში, მაინც პრობლემა მივიდა იქამდე, ვისი გავლენის სფეროში დარჩება ბელორუსი, თუ ცვლილებები განხორციელდა და ხელისუფლება შეიცვალა — დასავლეთის და ევროკავშირის, თუ ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ იქნება კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო მოთამაშე და მანევრირებადი ავტორიტარული ლიდერის ლუკაშენკოს პირობებში. ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკო განსხვავებული ფიგურაა, განსხვავებული ლიდერია, განსხვავებული რეჟიმი ჰქონდა მას, რომელიც ბევრის მიერ მონათლულია, როგორც დიქტატურა, ის მთელი 25 წლის განმავლობაში ეფექტურად ჭირვეულობდა რუსეთთან, საიდანაც უნდოდა იაფი ენერგორესურსები, გასაღების ბაზარი, სანაქებო მრეწველობა, რომელიც მან შეინარჩუნა პროდუქციის ნაწილის რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ექსპორტის სახით. მეორე მხრივ, დასავლეთთან ოსტატურად ვაჭრობდა, როგორც პუტინის წინააღმდეგ რეალური ნაბიჯების გადამდგმელი ლიდერი“, — მიიჩნევს ანალიტიკოსი.

დასავლეთსა და რუსეთს შორის ამ წინააღმდეგობებზე სარფიანად მოთამაშის ჭირვეულობა ყელში არა მარტო პუტინს ამოუვიდა, არამედ დასავლეთიც აღშფოთდა, რომ ბელორუსული საზოგადოება არ უახლოვდება დასავლეთს, ევროპას და სულ უფრო მკაფიო ხდება ავტორიტარიზმი ამ ქვეყანაში, რაც თავისთავად აძლიერებს იმ პერსპექტივას, რომ ლუკაშენკო კიდევ მეტად წავიდეს რუსეთისკენ.

ანალიტიკოსი **ზაალ კასრელიშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ბელორუსში შიგნიდან არის პროცესები დაწყებული და გარედან ვინ შეუერთდება ამ პროცესებს, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

„ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ 25 წლის მანძილზე ლუკაშენკოს შიგნით ოპოზიცია გაუჩნდებოდა? რა განცხადებასაც აკეთებს დასავლეთი გარედან, ამ განცხადებებში გაჟღერებული მოსაზრებების გარდა, დასავლეთი უფრო შორს არ წავა და ბელორუსის შიდა საქმეებში არ ჩაერევა. რა თქმა უნდა, კრემლსაც აწყობდა ეს პროცესები, თორემ ვითარება ასე არ გამწვავდებოდა. ლუკაშენკოსა და პუტინს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა არჩევნებამდე და პომპეოს რომ შეხვდა ლუკაშენკო, ალბათ, კრემლში მაშინ გადაწყდა ამ კაცის მოშორება“, — მიიჩნევს ზაალ კასრელიშვილი და დასძენს, რომ ჯოხს ორი მხარე აქვს და ლუკაშენკო არც რუსეთს აწყობს, არც დასავლეთს.

მარიამ ლოლაშვილი

რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბელარუსულის წინამძღოლი შეცვალა

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი შეცვალა. მინსკისა და ზასლავსკის მიტროპოლიტი პავლე (პონომარიოვი) ბორისოვისა და მარიინგორსკის ეპისკოპოსით — ბენიამინით (ტულეკო) ჩაანაცვლეს, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების ხელმძღვანელმა ვლადიმირ ლეგოიდამ.

ლეგოიდას მტკიცებით, პავლე საკუთარი სურვილით გადადგა და ამიერიდან ყუბანის ეპარქიას უხელმძღვანელებს. პავლე ბელარუსის მართლმადიდებელ ეკლესიას 2013 წლიდან ედგა სათავეში, მანამდე კი რუსეთის მონასტრებში, ასევე იერუსალიმში, აშშ-სა და ავსტრიაში მსახურობდა. მიტროპოლიტმა პავლემ ალექსანდრე ლუკაშენკოს 9 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მოგვიანებით, მან ამ „ნაჩქარევი“ მილოცვის გამო წუხილი გამოთქვა. 17 აგვისტოს მიტროპოლიტმა სპეცრაზმის მიერ ნაცემი დემონსტრანტები მოინახულა.

ბოლოდროინდელი პოლიტიკური კრიზისის ფონზე პავლეს როგორც ოპოზიცია აკრიტიკებდა იმის გამო, რომ „ეკლესია მიმდინარე მოვლენებზე ფაქტობრივად არ რეაგირებდა“, ისე ლუკაშენკოს მხარდამჭერები — „ხელისუფლების პირდაპირი მხარდაჭერის გზიდან გადაიხარაო“.

22 აგვისტოს ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მოუწოდა სასულიერო პირებს, პოლიტიკაში არ ჩაერიონ: „ჩემო ძვირფასებო, გონს მოდით და დაკავდით საკუთარი საქმით! ხალხი ეკლესიაში სალოცავად უნდა მოდიოდეს, ეს არაა ადგილი პოლიტიკისთვისო“.

ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი წინამძღოლი 51 წლისაა. იგი ქვეყნის დასავლეთშია დაბადებული, 1992 წელს ჩაირიცხა მინსკის სასულიერო სემინარიაში. 1994 წელს აღიკვეცა ბერად. 1999 წელს გახდა მღვდელი, 2010 წელს — ეპისკოპოსი.

ბელარუსის ბოლოდრონდელი მოვლენები ბენიამინს საჯაროდ არ განუსჯია.

სუკ-ის საიდუმლო იარაღი – ბოქვენის ტილები „არამზადების შეთქმულებაში“

რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იდეოლოგიური დაპირისპირება, საბჭოთა კავშირის დაშლიდან განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე, როგორც დაკვირვებული მკითხველი შენიშნავდა, წამითაც არ შენელებულა. როგორც ირკვევა, ახალი რეალიების, კერძოდ, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ეს დაპირისპირება ახალ-ახალ ზოგჯერ კი სულაც ფანტასტიკურ შტრიხებს იძენს.

სწორედ ამის თაობაზე მსჯელობს ყოფილი სსრ კავშირის საგარეო დაზვერვის ვეტერანი, მწერალი მიხეილ ლიუბიმოვი, რომელიც თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოქვეყნებულ საგაზეთო პუბლიკაციაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს თითქოს მიყუჩებულმა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გადაწყვიტა, რომ დადგა დრო რუსეთის მუდამ „სუსტი რგოლისთვის“ ცეცხლის შენთებისა და მის ყელში ამოსული რეჟიმის წინააღმდეგ განწყობისა.

ყოფილი მზვერავის თქმით, დრო, როცა ამერიკელები – ცხადია, საბჭოთა სახელმწიფოსა და კომპარტიის ჯიბრზე! – პასტერნაკსა და სოლჟენიცინს საქვეყნოდ ხოტბას ასხამდნენ და მათ ნაწერებს ავრცელებდნენ, წარსულს ჩაბარდა. ჩვენ დროში ისინი სხვაგვარად მოქმედებენ – მაგნატ ჯორჯ სოროსის გრანტებმა ქვეყნიდან მრავალი ნიჭიერი მეცნიერი გაიტყუა, თუმცა კი, ამავდროულად, რუს ლიტერატორებს მაინც არ ეშვებიან, რომელთაც ათასნაირი მაცდუნებელი რაღაცით იზიდავენ – ნამდვილი ძველი შოტლანდიური ვისკი იქნება ეს თუ ვენეციის თვალწარმტაცი არხებში გონდოლით გასეირნება. და აი, ახალი „ლიტერატურული ტერაქტი“ – ბაზარზე „შემოგდებულია“ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) მეხუთე (იდეოლოგიური) სამმართველოს **პოლკოვნიკის ვ. პოპოვის წიგნი „არამზადების შეთქმულება“.**

ყოფილი მზვერავი მ. ლიუბიმოვი აცხადებს, რომ საზღვარგარეთ მუშაობის დროს ბევრჯერ შეხვედრია სუკ-ის მე-5 სამმართველოს „ჩუმ გენიოსებს“, რომლებიც პარტიის ნების შესასრულებლად უზრუნველყოფდნენ საბჭოთა მოქალაქეების ერთიან თარგზე აზროვნებას. „ტვინის ერთიანი ხვეულისთვის“ ეს იდეური მებრძოლები, როგორც წესი, საზღვარგარეთ საბჭოური კულტურული თუ სპორტული დელეგაციების შემადგენლობაში მიემგზავრებოდნენ: მათგან არც ერთი არც ერთ უცხო ენას არ ფლობდა და არც ქვეყნის შიდა მდგომარეობის აზრზე არ იყო, სპირტიან სასმელს კარგად იტანდა, ჭრელაჭრელა ტანსაცმელზეც გვარიანად „შერყეული“ იყო და დელეგაციების შემადგენლობაში მომხიბლავი მსახიობი, სპორტსმენი თუ სხვა პროფესიის ქალიშვილებისადმი დიდ ინტერესსაც იჩენდა. არადა, განა ვინმე უარს იტყვის ხაზინის ხარჯზე მივლინებაში, მით უმეტეს, ლონდონსა ან პარიზში წასვლაზე?

„მივლინებების“ შემდეგ ისინი წერდნენ „ანგარიშებს“ იმის შესახებ, თუ როგორ შეძლეს საბჭოთა მოქალაქეთა დასავლეთში დარჩენის მცდელობის აღკვეთა, თუმცა კი, მ. ლიუბიმოვის მტკიცებით, იმ კაცის შეჩერება, რომელმაც ამ ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა, შეუძლებელია, თუკი ვინმეს პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკების თავის არიდება უნდა.

მ. ლიუბიმოვი სარკაზმით წერს, რომ დღესაც გულიანად ხარხარებს, როცა ახსენდება, თუ როგორ მიიღო კოპენჰაგენში მე-5 სამმართველოს უფროსის ფილიპ ბობკოვის საგანგაშო დეპეშა, რომლითაც ის ატყობინებდა, რომ დანიის დედაქალაქში „დათესვას“ აპირებდა სახელგანთქმული დირიჟორი ევგენი სვეტლანოვი. ჩანს, რომ ამ ამბის შეტყობისთანავე პოდპოლკოვნიკმა ვ. პოპოვმა მაშინვე დაიწყო სახელოვანი დირიჟორის სამშობლოში დიპლომატიური ბარგით უკან დასაბრუნებელი ყუთის შეკვრა, მაგრამ გამოცდილ რეზიდენტებს უფროსობის ასეთი აბდაუბდა მითითებების უგულებელყოფის ტაქტიკა დიდი ხნის შემუშავებული ჰქონდათ, რომელმაც ამ ჯერზეც მშვენივრად იმუშავა.

ამასთან, ვეტერანი მზვერავი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პოდპოლკოვნიკი ვ. პოპოვი, რომელიც არცთუ „ინტელიგენტურ მიმართულებას“ – სპორტულ დელეგაციებს „ემსახურებოდა“, თავისი მშობლიური მე-5 სამმართველოს მთელ აგენტურას, ლამის თვით მის უფროს ფ. ბობკოვზე უკეთ იცნობს. არადა, სწორედ ეს აგენტურაა სუკ-ის ყველაზე დიდი საიდუმლო, მისი „წმიდათაწმიდა“. აქ ყველამ თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი იცოდა და ყველა საიდუმლო სამარეში მიჰქონდა. თვალში ნაცრის შესაყრელად კი საიდუმლო აგენტებს დასტებად „აცხობდნენ“, კომპარტიის ცკ-ში საზეიმოდ აბარებდნენ ანგარიშებს ამ საქმეში მიღწეული წარმატებების შესახებ. მაგრამ ამ აგენტებისგან მიღებული სარგებელი ნულის ტოლი იყო.

სამწუხაროა, რომ მე-5 სამმართველო, რომელიც სუკ-ის წამყვანი ქვედანაყოფი სულაც არ ყოფილა, მთელ ამ ორგანიზაციასთან ასოცირდება, მის აგენტებს კი დამსმენებსა და დამბეზღეებლებს ეძახიან. სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს წიგნის „არამზადების შეთქმულების“ ავტორი, თუმცა კი მიამიტი მკითხველის თვალის ასახვევად იქვე ამატებს, რომ ამ სფეროში მისი „ღრმა ცოდნა“ იმითაა განპირობებული, რომ მარტო კოლეგებთან კი არა, არამედ უფროსობასთან ურთიერთობის დროს მუდამ „ყურები დაცქვეტილი“ ჰქონდა. არადა, აგენტების სია ერთობ შთამბეჭდავია: **აქ თავმოყრილია მთელი პარტიული ნომენკლატურა და ლიტერატურული თანამეგობრობის შემადგენლობა სერგეი მიხალკოვისა და „მეტროპოლის“ მთავარი მდევნელის ფელიქს კუზნეცოვის ხელმძღვანელობით, ჟურნალისტი გენრიხ ბოროვიკი, მწერალი იულიან სემიონოვი, მხატვარი ილია გლაზუნოვი, პოეტი ევგენი ევტუშენკო, ტელეწამყვანი სერგეი დორენკო, ასევე სხვა პერსონაჟები, მეტადრე „გულმხურვალე პატრიოტების“ ბანაკიდან.**

მ. ლიუბიმოვს გულწრფელად უკვირს, რომ ამ სიაში შეტანილი არ არიან ცნობილი კინოფილმების რეჟისორები და მსახიობები – „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, „ფარი და მახვილი“, ასევე სხვების, რომლებიც აგრეთვე სუკ-ის პატრონაჟით იყო გადაღებული: როგორც ჩანს, მათ მორიგი „შედევრებისთვის“ ინახავენ.

საბჭოთა დროში სუკი ყველას ფეხის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა – ყველა საზღვარგარეთ წამსვლელი მოქალაქე, მათ შორის ლიტერატურული ელიტის წარმომადგენლები, საგანგებო კომისიებს გადიოდნენ, რომელთაც კონტრდაზვერვის ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ და ხშირად სხვა თანამდებობებს იყვნენ ამოფარებულნი. **იულიან სემიონოვი მეგობრობდა სუკ-ის ხელმძღვანელობასთან და წიგნებში ხშირად მათგან მიღებულ ინფორმაციას იყენებდა, სერგეი მიხალკოვმა პიესა დაწერა კონტრდაზვერვის უფროსთან ო. გრიბანოვთან თანაავტორობით, ე. ევტუშენკოც კი ხშირად აღნიშნავდა ფ. ბობკოვთან თავის კავშირს.**

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად აუკრძალა სუკ-ს ნომენკლატურის წარმომადგენელთა **გადაბირება, რომელთა რიცხვს არაერთი ზემოთ ნახსენები პირი მიეკუთვნებოდა.** ამიტომ, მ. ლიუბიმოვს სულაც არ უკვირს, რომ ვ. პოპოვი თავის წიგნში არაფერს კონკრეტულს ყვება მათ მიერ ჩადენილ ავ საქმეებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი არაინფორმირებულობის შენიღბვას იგი აპირებს იმ ცოდნით, რომელსაც ფლობდა, როგორც ოპერატიული მუშაკი, რომლის სამოქმედო სფერო სპორტსმენები იყვნენ:

> თურმე, ნუ იტყვით და მე-5 სამმართველოს ყოჩაღი თანამშრომლები გროსმაისტერ ბორის სპასკის საყვარელს საცვლებში... ბოქვენის ტილებს უყრიდნენ, რისი მიზანი წყვილის სატრფიალო ურთიერთობათა ჩაშლა იყო...
>
> ესაა გენიალური იდეა, რომელიც მხოლოდ ინტელექტუალური მე-5 სამმართველოს წიალში შეიძლებოდა შობილიყო! განა რა საჭიროა სახიფათო პოლონუმთან დაკავშირებით ატეხილი ვნებათაღელვა, რომელმაც ნახევარი ლონდონი დააავადა და ბერეზოვსკის პირადი მცველი და სუკ-ის პოლკოვნიკი ლიტვინენკო იმსხვერპლა? რა საჭიროა ინგლისურ სოლსბერიში მამა-შვილ სკრიპალების სახლის სახელურზე წასმული შხამის გამო ატეხილი საერთაშორისო სკანდალი?!
>
> ტილები – აი, გამარჯვების გზა!
>
> ამიტომ, ახლავეა საჭირო ამ ტილების ხანდაზმული ტრამპისა და ბაიდენის ლოგინებში შეგდება (თუკი რამის შნო კიდევ აქვთ!), დაე, იქექონ, იფხანონ, ვიდრე რუსეთს სანქციებს არ გაუუქმებენ! კიდევ საჭიროა რუსეთის საზღვარზე ნატოს საჯარისო ჯარისკაცების ნაწილების ბოქვენის ტილებით „დაბინძურება“ და ამ გზით ქვეყნის ყველა საზღვრის კორონავირუსისგან დაცვა! მ. ლიუბიმოვი მადლობას უხდის პოდპოლკოვნიკ ვ. პოპოვს ამ დიდებული იდეისთვის, რომელმაც, მისი თქმით, ყელში ამოსული ფეიკები უნდა ჩაანაცვლოს.

მ. ლიუბიმოვი იმასაც ამბობს, რომ შეაძლოა ისეთი ადამიანებიც მოიძებნონ, რომლებიც იტყვიან, რომ წიგნი „არამზადების შეთქმულება“ – ესაა ცოდვაააღიარებული პოლკოვნიკის სულის გვარიანად დაგვიანებული ძახილი, რომელიც კანადურ ემიგრაციაში ჯერ კიდევ შორეულ 1995 წელს აღმოჩნდა, თუმცა კი იმასაც აცხადებს, რომ მისი სნეული წარმოსახვა, რატომღაც, კარნახობს, რომ ყოველივე ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წყალობით მოხდა. მაგრამ ყველა ეს ზღაპარი აგენტებზე (რომლებიც, ცხადია, სინამდვილეში არსებობდნენ!) მკითხველის სატყუარას წარმოადგენს, რომელსაც ახლობელზე ჭორაობის სურვილი კლავს, სინამდვილეში კი, **სუკ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის აზრით, მთავარი სამიზნე ვლადიმერ პუტინი და მისი მოციქულები არიან. თუმცა, საქმე, მისი თქმით, არც პრეზიდენტ პუტინშია, დასავლეთს, ვთქვათ, ზიუგანოვიც აწყობდა, საქმე რუსეთის პოლიტიკაშია, რომელმაც უარი თქვა 1900-იანი წლების კურსზე და დასავლეთის ფასეულობათა მხარდაჭერაზე.**

* * *

ბოლოთქმის მაგიერ: თუ რა არის ვ. პოტაპოვის წიგნის „არამზადების შეთქმულებისა“ და მერე მასზე სუკ-ის საგარეო დაზვერვის ვეტერანის მ. ლიუბიმოვის საკუთარი ნებით გამოხმაურების ჭეშმარიტი მიზეზი, ამის გარკვევა, პატივცემულო მკითხველო, თქვენთვის მოგვინდია, რა მიზეზითაც კომენტარისგან სრულიად შეგნებულად თავს ვიკავებთ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რას წარმოადგენს ქიმიური ნივთიერება, რომლითაც ნავალნი მოწამლეს

გერმანული კლინიკა „შარიტეს“ ექიმების დასკვნით, ალექსეი ნავალნი ქიმიური ნივთიერებით მოწამლეს, რომელიც ქოლინესტერაზის ინჰიბიტორების ჯგუფს განეკუთვნება. ნავალნის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, ექიმებს პროგნოზების გაკეთება უჭირთ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში, ომსკის საავადმყოფოში, სადაც ნავალნი იყო მოთავსებული, ამ ნივთიერების შესახებ არაფერი უთქვამთ.

რას წარმოადგენს ქოლინესტერაზის ინჰიბიტორების ჯგუფი და როგორ მოქმედებს ის ადამიანის ორგანიზმზე?

ეს ნივთიერებები მედიცინაში დემენციის სიმპტომების შემცირებისთვის გამოიყენება. მაგალითად, ალცჰეიმერის დაავადების დროს.

(დემენცია – (dementia), სინდრომი, აღმოცენებული თავის ტვინის ქრონიკული ან პროგრესირებადი დაავადების შედეგად, რომელიც ხასიათდება უმაღლესი ქერქული ფუნქციების (მათ შორისაა: მეხსიერება, აზროვნება, ორიენტაცია, შემეცნება, არითმეტიკული უნარი, დასწავლის უნარი, მეტყველება და კრიტიკული ფუნქციები) უმრავლესობის დარღვევებით.

მისი მოქმედების შედეგად ირღვევა ნერვული სისტემის მუშაობა, გულისცემა ნელდება, გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნერწყვი, წარმოიქმნება ოფლიანობა და ადამიანს მოსდის ცრემლები. ვითარდება შარდის შეუკავებლობა და დიარეა, იწყება პირღებინება, ადამიანი სრულად პარალიზებულია, უჭირს სუნთქვა, ვარდება კომაში და საბოლოოდ ის შეიძლება გარდაიცვალოს.

მოწამვლის სიმპტომები შეიძლება მომენტალურად გამოვლინდეს, ან რამდენიმე წუთის ან საათის შემდეგ.

◎ ფეხბურთი

ჩვენ ჩვენი გაგვჭირვებია

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ დიდი სირცხვილი გვაჭამა ჩემპიონთა ლიგაში (ისე, რომ დაფიქრდე კაცი, რა ესაქმებოდა იქ), ევროპა ლიგაში მოასპარეზეთა ჯერი დადგა – დღეს სამი ქართული კლუბი რანგით მეორე კონტინენტურ ტურნირში ჩაებმება:

„ლოკომოტივი“ – „უნივერსიტატია“ (კრაიოვა, რუმინეთი). თამაში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „სილქ უნივერსალი“ შემოგვთავაზებს.

შეგახსენებთ, რომ კარპატელებს 1994 წელს თბილისის დინამოელები შეხვდნენ და ორი მატჩის ჯამში დაამარცხეს კიდეც – 2:0, 2:1.

„აპოლონი“ (ლიმასოლი, კვიპროსი) – „საბურთალო“. აღნიშნულ ბრძოლას 20 საათზე ნიქოზია უმასპინძლებს და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ვიხილავთ.

„ჰაპოელი“ (ბერშევა, ისრაელი) – „ბათუმი“.

ვიდრე ქართული ტრიოსათვის განაჩენის გამოტანის მოლოდინის რეჟიმში ვართ, სათავგადასავლო ჟანრის მოვლენები ვითარდება კატალონიაში, სადაც ლიონელ მესიმ „ბარსელონიდან“ წასვლა გადაწყვიტა და „ბლაუგრანას“ დატოვების სურვილის შესახებ საქვეყნოდ განაცხადა კიდეც.

როგორც გაირკვა, არგენტინელი ვირტუოზი „მანჩესტერ სიტიში“ პეპ გვარდიოლასთან აპირებს კარიერის გაგრძელებას, თუმცა, ყველანი შოკში ჩააგდო შესაძლო ტრანსფერის განსახორციელებლად თანხმობის მისაცემად ესპანური გრანდის მიერ დასახელებულმა თანხამ: 700 მილიონი ევრო!

მანუჩარ გიორგაძე

◎ გამოიცა

მართლაც, ალალია...

ცნობილი **გამოთქმის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, მოაპოვებინეთ სპორტსმენს ტიტულები და მიხვდებით, როგორი პიროვნებაა იგი.**

ფირუზ კანთელაძემ ჯერ კიდევ მოსწავლეობისას დააჭაშნიკა პირველი წარმატება , როცა თბილისის ჩემპიონი გახდა თანატოლთა შორის, რასაც ჯიგრიანი თამაშით საბჭოეთში არსებული ყველა ჯილდო და ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მოხვეჭილი გამარჯვება მოჰყვა (სხვათა შორის, იმ ტურნირზე ის საუკეთესო მცველად აღიარეს და სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს), მაგრამ ბოლომდე კაცად დარჩა.

1949 წლის 4 იანვარს ამბროლაურში, გრიგოლ კანთელაძისა და ელიკო რეხვიაშვილის ადათწესების ერთგულ რაჭულ ოჯახში დაბადებულ და დედაქალაქში, კრონშტადტის ქუჩაზე აღზრდილ კალათბურთელის სიმაღლის გიგანტს ადვილად გამოარჩევდით – როგორც აღნაგობით, ისე ადამიანური ღირსებებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოეზიის სიყვარულითაც კი.

ალბათ, ამიტომაცაა, დღემდე რომ დიდი გულისტკივილით იხსენებს ყველა თაობის ქართველი ფეხბურთელი და გულშემატკივარი, სამეგობრო თუ სანათესავო, თანაც ვერ მოუნელებიათ, მუდამ სხვაზე მზრუნველმა საკუთარი ოჯახის შესაქმნელად რომ ვერ მოიცალა.

აღნიშნულ და კიდევ მრავალ საინტერესო დეტალს ქომაგი უხვად ილუსტრირებული, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე, ტრადიციისამებრ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით დაბეჭდილი წიგნი – ალბომიდან შეიტყობს, რომელიც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა თანამემამულეთა მიღწევების სამაგალითო მემატიანემ დემიკო ლოლაძემ (დიზაინერი – კახა ბახტაძე).

დაბოლოს, მადლიერების გრძნობით გვსურს დავასახელოთ ფირუზ კანთელაძის პირადი ექიმი ამირან მათითაშვილი, ქირურგის ინსტიტუტის მედიკოსები შოთა ბუგიანიშვილი, ოთარ შამუგია, ირინა ჯუღელი და, განსაკუთრებით, – ბავშვობის მეგობარი თენგიზ წურწუმია, რომლებიც ბოლომდე იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

გია პლატონიშვილი

სადარბაზო ბარათი

დაიბადა 1949 წლის 4 იანვარს ამბროლაურში.

დაოსტატდა „ქარიშხალასა“ (გოგი მამალაძე) და ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში (ვლადიმერ ელოშვილი).

თბილისის „დინამოში“ 1967-1979 წლებში ჩაატარა სსრ კავშირის ჩემპიონატის 184 შეხვედრა და გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს (ორგზის) პრიზიორი.

საკავშირო თასის ორგზის მფლობელმა ამ ტურნირის 29 მატჩში 1 გოლი გაიტანა, ხოლო 164 საერთაშორისო თამაშში – 2 ბურთი, მათ შორის ევროოთასების 18 შეხვედრაში – 1 გოლი. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ფინალისტის კოლექციას ამშვენებდა ევროპის ჭაბუკთა და საკავშირო ახალგაზრდული ჩემპიონატების ოქროს მედლები.

ღირსების ორდენის კავალერი 2019 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა.

ურეკში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტური ქვიშის ხელბურთში. ვაჟთა ნახევარფინალში გორმა 2:1 დაამარცხა ქუთაისი, რომელმაც ბრინჯაოს ფინალში აჭარას მოუგო და ორი ტურნირის ჯამში 200 ქულა მოაგროვა. გორელებმა მე-2 ტურის ფინალში თბილისის „ფაკუნდოს“ აჯობეს და მათაც 200 ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ ორივე ტურნირში ნათამაშები პირადი მატჩებით ქუთაისს უპირატესობა ჰქონდა და საქართველოს ჩემპიონობაც რიონისპირელებმა მოიპოვეს. შარშანდელი გამარჯვებული გორი მეორეზე გავიდა, ხოლო მესამე ადგილი „ფაკუნდოს“ ხვდა.

ქალთა ფინალში ყვარლის „დურუჯმა“ სეზონში მეორედაც დაამარცხა აჭარის გუნდი 2:0 და ტიტული შეინარჩუნა. ბრინჯაოს ფინალში ფოთის „ოქროს ვერძმა“ პირველ ტურნირში დამარცხებისთვის რევანში აუღო სამტრედიის „სანავარდოს“ 2:1. ორივე გუნდმა ჯამში 110 ქულა მოაგროვა, მაგრამ პირად მატჩებში სამტრედიას უკეთესი ბურთების სხვაობა აღმოაჩნდა და ბრინჯაოს მედალიც მას ერგო.

◎ ხელბურთი

ამერიც, იმერიც

შეჯიბრების დასრულების შემდეგ დაჯილდოვდნენ საუკეთესოები: **მეკარეები** – ქრისტინე ჯავახია (ფოთი) და გიორგი ვათიაშვილი (გორი); **თავისუფალი მცველები** – ქეთი კუნელაშვილი (ყვარელი) და ზურაბ სიმონია („ფაკუნდო“); **მცველები** – თეკლა ცირეკიძე (სამტრედია) და თორნიკე გაგლოშვილი (გორი); **მოთამაშეები** – თამარ ბურკაძე (სამტრედია) და უჩა გამზარდია (ქუთაისი); **მწვრთნელები** – თემურ ჭანტურია (ფოთი, ქალები) და ირაკლი სიხარულიძე (აჭარა, ვაჟები); **სამართლიანი თამაშის** პრიზები მოიპოვეს გორის ქალთა და ფოთის კაცთა გუნდებმა;

საბოლოო შედეგები

ქალები. 1. „დურუჯი“ (ყვარელი, 140 ქულა), 2. აჭარა (120), 3. „სანავარდო“ (სამტრედია, 110), 4. „ოქროს ვერძი“ (ფოთი, 110), 5. ბათუმი (70), 6. „აკადემია“ (თბილისი, 50), 7. „თოლია“ (აჭარა, 30), 8. „პრომეთე“ (წყალტუბო, 30), 9. „არგო“ (გორი, 30)

ვაჟები. 1. ქუთაისი (200), 2. გორი (200), 3. „ფაკუნდო“ (თბილისი, 180), 4. ბათუმი (160), 5. აჭარა (130), 6. „პრომეთე“ (წყალტუბო, 110), 7. „ოქროს ვერძი“ (ფოთი, 110), 8. „ლოკომოტივი“ (სამტრედია, 90), 9. „აია“ (ქუთაისი, 60), 10. „შადრევანი“ (წყალტუბო, 60), 11. „მაჭახელა“ (ხელვაჩაური, 20).

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

და მაინც, გმადლობთ...

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვივარაუდეთ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აღმოსავლეთის კონფერენციის სასტარტო პლეი-ოფი სეზონის ნაადრევად დასრულების ტოლფასი აღმოჩნდა გოგა ბითაძის „ინდიანასათვის“, რომელმაც მეოთხედფინალური რაუნდის მეოთხე მატჩიც წააგო „მაიამისთან“ და სერიაში მშრალი ანგარიშით დამარცხდა – 87:99 (0:4).

როგორც უკვე იცით, ასეთი ფიასკო უმთავრესად „პეისერზის“ ლიეტუველი ლიდერის დომანტას საბონისის ჯერაც მოუშუშებელ ტრავმას უკავშირდება, თუმცა, ეტყობა, სხვა გარემოებებმაც იჩინა თავი, რაც, ვიმედოვნებთ, მოგვიანებით გამოიკვეთება.

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერს, მოგეხსენებათ, მასაც მოუწია გარკვეული პერიოდის განმავლობაში მკურნალობა, რასაც გუნდის თავკაც ნეით მაკმილანის მხრიდან უნდობლობის ფაქტორიც ემატებოდა, მაგრამ როცა პარკეტზე გასვლის საშუალება ეძლეოდა, დაგვეთანხმებით, დებიუტანტის კვალობაზე – პოზიტიურად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ღირსეულადაც კი გამოიყურებოდა.

და, რაც დამაიმედებელია, „ჯვაროსანთა“ ამომავალი ვარსკვლავი საკმაოდ გაუშინაურდა კალათბურთის მექას, ოკეანის გაღმა გავლილი აკადემიური კურსი კი, დარწმუნებულნი ვართ, მომავალში სასიკეთოდ აისახება საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშსა და, პარალელურად, შედეგებზე. ასე რომ, პერსპექტივის პრიზმაში, მაინც მადლობა ნბა-ს!

ვიტალი ჯაფარიძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ ლიდერს ვიქტორ სანიკიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმში ტყვია აღმოჩნდა

Momxmarebeli.ge-მ თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შეიძინა 42 დასახელების პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმი და პარაბენების, ტყვიისა და დარიშხნის შემცველობაზე შესამოწმებლად გერმანიის ლაბორატორია „ევროფინსში“ გააგზავნა.

3 ნიმუშში მცირე ოდენობით ტყვია აღმოჩნდა, ხოლო 3 ნიმუშზე ეტიკეტირების წესები იყო დარღვეული – პროდუქტები შეიცავდა პარაბენებს ნორმის ფარგლებში, მაგრამ ეს ეტიკეტზე არ იყო აღნიშნული.

რაც შეეხება ტყვიის ნაწარმს, რომელშიც ტყვიის შემცველობა აღმოჩნდა, ესენია: ფიტო დეოდორანტი „ჩისტაია ლინია“, შხაპის გელი „ნივეა სპა“ და კრემ-დეოდორანტი „ინჯოი“.

„ნიმუშების სახეობებისა და ჩასატარებელი კვლევების შერჩევა მოხდა მსოფლიოში ამჟამად გავრცელებული საფრთხეების მიხედვით. შესყიდულ იქნა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ფირმის მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს რიგითი მოქალაქეებისათვის, ესენი იყო: შამპუნები, შხაპის გელები, ბალზამები, ანტიპერსპირანტები და სხვა.

„ევროკავშირში და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში მომხმარებელთა ჯანმრთელობის დასაცავად პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმში პარაბენების ნაწილის გამოყენება საერთოდ აკრძალულია, ნაწილი კი – ნორმირებული. ასევე, ამ ტიპის პროდუქციაში დაუშვებელია ტყვიისა და დარიშხნის არსებობა. თუმცა, ვინაიდან ეს ნივთიერებები ბუნებრივ გარემოში გვხვდება, მათ შეიძლება შეიცავდეს პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმის ნედლეული, ჭურჭელი, რომელშიც ეს პროდუქციაა განთავსებული, ან ისინი პროდუქციაში საწარმოო პროცესის დროს მოხვდეს. ამიტომ ევროკავშირში დაშვებულია ტყვიისა და დარიშხნის ნარჩენების არსებობა პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმში იმ შემთხვევებში, როცა ამის თავიდან აცილება ტექნიკურად შეუძლებელია. ეს კი ქვეყანაში მოქმედმა სახელმწიფო მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს“, – წერია momxmarebeli.ge-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად ევროკავშირი 80 000 ევროს გამოგვიყოფს!

ევროკავშირი 80 000 ევროს გამოგვიყოფს, რომლის საშუალებითაც წითელი ჯვარი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში წყალდიდობების შედეგად დაზარალებულებს მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარება. იუწყება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა.

ევროკავშირის ამ დაფინანსების საშუალებით წითელი ჯვარი დაზარალებულებს მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში ეხმარება – როგორც საკვებისა და ჰიგიენური საშუალებების მიწოდებით, ასევე ფულადი მხარდაჭერით. ჰუმანიტარული დახმარებით 3170 ადამიანი ისარგებლებს, ვისი სახლებიც დაიტბორა ან ვინც წყალდიდობის შედეგად მოსავალი დაკარგა.

აღნიშნული დაფინანსება არის წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRC) კატასტროფებზე რეაგირების საგანგებო ფონდში (DREF) ევროკავშირის საერთო შენატანის ნაწილი.

2020 წლის 29 ივლისის მდგომარეობით კოკისპირულმა წვიმებმა დააზარალა საქართველოს რამდენიმე რეგიონი, მათ შორის რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, გურია, იმერეთი და კახეთი. რამდენიმე სოფელი იზოლირებული რჩება მას შემდეგ, რაც წყალდიდობებმა მდინარის ნაპირების დამცავი ჯებირები, გზები და ხიდები გაანადგურა. წვიმებმა ასევე დიდი ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო მიწებს, მეურნეობებსა და ხეხილს, რაც დაზარალებული ოჯახისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულები მოემზადნენ

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღესთან დაკავშირებით, უმაღლესი სასწავლებლის სამწყობრო მოედანზე კურსდამთავრებულებმა ოფიცრის ფიცი დადეს, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასწავლო ბატალიონის საბაკალავრო კურსის 76 მსმენელს აკადემიის დასრულება თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალმაიორმა გიორგი მათიაშვილმა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორმა, ბრიგადის გენერალმა მალხაზ მაკარაძემ მიულოცეს. იუნკრებს ლეიტენანტის წოდებასთან ერთად შესაბამის სპეციალობებში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ. გამოშვების საზეიმო ცერემონიალზე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ, წარჩინებულები კი, საშტატო იარაღით დაჯილდოვდნენ.

ლეიტენანტები ოფიცრის ძირითად კურსებს სხვადასხვა სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის მიხედვით გაივლიან, რომლის დასრულებისთანავე საქართველოს თავდაცვის ძალებში უმცროსი ოფიცრის თანამდებობაზე განაწილდებიან. საზეიმო ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი პირები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საჯარო გამოცხადება

მოქ. ნუგზარ პაპუნიძის მიმართვა მოქ: ანატოლი სერგოს ძე ტურგენევს

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 სექტემბერს ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას დეპოზიტზე, თქვენს სასარგებლოდ განთავსდა თანხა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. თანხის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ მარიამ კვარაცხელიას სანოტარო ბიუროს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ., №10, ბ. №28.

ენგურმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა

სოფელ ორსანტიაში მდინარე ენგურმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა. შემთხვევა გუშინ მოხდა. მამაკაცი, სავარაუდოდ, ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსვლას მდინარით ცდილობდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მისი ცხედარი სოფელში ადგილობრივებმა იპოვეს, რის შემდეგაც ის პროზექტურაში გადაასვენეს.



მარნეულში სანერგე მეურნეობა „მზა ჩითილი“ გაიხსნა

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის დირექტორთან პიტერ ვიბლერთან ერთად მარნეულში, სოფელ აზიზქედში, სანერგე მეურნეობა „მზა ჩითილი“ გახსნა,** – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, „მზა ჩითილი“ ერთ-ერთი წამყვანი სანერგე მეურნეობაა საქართველოში, რომელიც ბოსტნეულისა და ყვავილების ჩითილებს აწარმოებს. ბოლო პერიოდში, ადგილობრივი ფერმერების მხრიდან კენკროვანი კულტურების ნერგებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, კომპანიამ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, კენკროვანი კულტურების ნერგების წარმოება დაიწყო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, აშშ-ის მხარდაჭერით და USAID-თან თანამშრომლობით, საქართველოში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

„მზა ჩითილი“ ერთ-ერთი წამყვანი სანერგე მეურნეობაა საქართველოში, რომელიც ბოსტნეულისა და ყვავილების ჩითილებს აწარმოებს. ბოლო პერიოდში, ადგილობრივი ფერმერების მხრიდან კენკროვანი კულტურების ნერგებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, კომპანიამ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, კენკროვანი კულტურების ნერგების წარმოება დაიწყო. „მზა ჩითილი“ უკვე ახორციელებს ჯიშების „მალგა“ და „სკალა“ გამრავლებას. უახლოეს პერიოდში დაინტერესებული ფერმერებისთვის დაახლოებით 250 ათასი ნერგი გახდება ხელმისაწვდომი. სერტიფიცირებულ, თანამედროვე და პროდუქტიულ ჯიშებზე წვდომის გაუმჯობესება USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

კახეთის რეგიონში რთველი დაიწყო

დღეის **მონაცემებით, „რთველი 2020“-ის ფარგლებში, გადამუშავებულია 200-ზე მეტი ტონა, ძირითადად საადრეო ჯიშის ყურძენი,** – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე რთვლის საკოორდინაციო შტაბში უკვე დარეგისტრირდა ღვინის მწარმოებელი 50-მდე კომპანია, რომლებიც მოსავლის დაბინავების პროცესში ეტაპობრივად ჩაერთვებიან.

„წელს, კახეთის რეგიონში, ყურძნის საპროგნოზო მოსავალი 300 ათას ტონამდეა. გადამუშავებული ყურძენი აღირიცხება სპეციალური პროგრამის მეშვეობით ერთიან ელექტრონულ ბაზაში და ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე http://www.wine.gov.ge/Ge/Statistic?harvestYearId=1007 შეეძლება.

მიმდინარე წელს, COVID-19 პანდემიის შედეგად დაზარალებული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება. სუბსიდიას მიიღებს ღვინის კომპანია, რომელიც შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ, არანაკლებ 1000 ტონა რქაწითელის ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს. ამასთან, **შესყიდულ 1 კგ ყურძენში ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის, არანაკლებ 0,80 ლარს. 1 კგ ყურძნის შესყიდვისას ღვინის კომპანიებზე გაიცემა სუბსიდია: 1 კგ რქაწითელზე და 1 კგ კახურ მწვანეზე – 0,30 ლარი.**

„რთველი 2020“-ის საკოორდინაციო შტაბი, გასული წლის მსგავსად, განთავსებულია თელავში (ალაზნის ქ. 97). სახელმწიფო უწყებებს, მეწარმეებსა და მევენახეებს შორის აქტიური კომუნიკაციის მიზნით, შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. ამასთან, ყველა დაინტერესებულ პირს, რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1501 შეუძლია“, – ნათქვამია ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ატმისა და ვაშლატამას ექსპორტის მაჩვენებელი გაორმაგდა

საქართველოდან 23,109 ტონა ატამი და ვაშლატამაა ექსპორტირებული, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. 2019 წელს, ამავე პერიოდში, ექსპორტირებული ატმისა და ვაშლატამას მაჩვენებელმა 12,556 ტონა შეადგინა.

ქართული ატმისა და ვაშლატამას ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთის ფედერაცია (14,906 ტონა), სომხეთის რესპუბლიკა (7,202 ტონა) და აზერბაიჯანის რესპუბლიკა (567 ტონა). ექსპორტი ასევე ხორციელდება ყაზახეთის (112,9 ტონა), უკრაინის (99 ტონა), მოლდოვას (89,6 ტონა), პოლონეთის (74,0 ტონა), სლოვენიისა (57,3 ტონა) და სინგაპურის (0,04 ტონა) რესპუბლიკებში.

მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებისა და რეალიზებისთვის სრული დატვირთვით მუშაობს სამაცივრო და შემნახველი საწარმოები. ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა ერთი ფანჯრის პრინციპით ხორციელდება. პროცესში ჩართული არიან ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები.

საფრანგეთში მეორე დღეა, მასშტაბურ ტყის ხანძარს ებრძვიან

საფრანგეთის სამხრეთში მეორე დღეა მასშტაბურ ტყის ხანძარს ებრძვიან. ამ დროისთვის 500 ჰექტარი ტყეა დამწვარი. ხანძარი ისტრის მუნიციპალიტეტში გაჩნდა. ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და ძლიერი ქარის გამო ცეცხლი მალე გავრცელდა.

ამ ეტაპზე ხანძრის ჩაქრობას 1300-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი ცდილობს. სამუშაოებში ჩართულია 300-მდე სახანძრო და 11 ვერტმფრენი. მიმდებარე რაიონებში ხალხის ევაკუაცია განხორციელდა. ხანძრის შედეგად დაშავდა 6 მეხანძრე და 2 ადგილობრივი, მათ შორის ერთი ფეხმძიმე ქალია.

პოლიციის ფარი, რომელიც დემონსტრანტებს ესროის

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საწარმოებმა ფორუმ „Армия 2020“-ზე ის ტექნოლოგიური სიახლეები წარმოადგინეს, რომელიც მათ გასული წლის განმავლობაში შექმნეს.

გამოფენაზე საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „Абакан“-ის, სამხედრო ბორან „კალაშნიკოვსა“ და ახალი მოდიფიკაციის ქვეითთა საბრძოლო მანქანასთან ერთად წარმოდგენილი იყო პოლიციის სპეცრაზმელთა ფარი „ლეგიონერი“, რომელიც საპროტესტო აქციების დაშლისთვის არის განკუთვნილი.

სიახლე ის არის, რომ ფარში დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც სპეცრაზმელს

შეუძლია მომიტინგეთა მისამართით არალეტალური საბრძოლო მასალის (რეზინის ტყვიები, პეტარდები, წიწაკისა და სხვა სახის ცრემლსადენი გაზის მასრები) სროლა.

მოწყობილობა ფარის შიდა მხარეს მონტაჟდება და ჩახმახი ფარის სახელურზევეა დამონტაჟებული. მას 12 მოკლე ლულა აქვს და სამ რიგად არის გაყოფილი, შესაბამისი დანიშნულების ტყვიების მიხედვით. მსროლელს შეუძლია აირჩიოს, თუ რომელი ტყვია გაისროლოს. ამასთან, ფარს ლაზერული დამიზნების სისტემაც გააჩნია. გარდა ამისა, თავდაცვის უწყებამ გამოფენაზე წარმოადგინა სამლულიანი „კოსმოსური პისტოლეტი“, რომელიც საბჭოთა კოსმონავტებს ეძლეოდათ კოსმოსში გაფრენის წინ. პისტოლეტს ჩვეულებრივი ტყვიების გარდა, სასიგნალო რაკეტის გაშვებაც შეეძლო. როგორც განმარტავენ, ეს იარაღი კოსმონავტებს იმ შემთხვევაში დასჭირდებოდათ, თუ დედამიწაზე დაშვებისას კაფსულის აღმოჩენა დროულად ვერ მოხერხდებოდა.

„მაშინ კაფსულის მოძებნას, შესაძლოა, რამდენიმე დღე დასჭირვებოდა, ამიტომ კოსმონავტებს ეს იარაღი თავდაცვის, ნადირობისა და საკუთარი ადგილსამყოფელის შეტყობინებისთვის ურიგდებოდათ,“ — აცხადებენ ისინი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყირიმი ჩვენი ტერიტორიაა და მას უკან დავიბრუნებთ

„ყირიმი ჩვენი ტერიტორიაა და უკან დავიბრუნებთ. თუმცა, ამ საკითხის განსახილველად სერიოზული და ეფექტური პლატფორმა არ არსებობს. 6 წლის განმავლობაში ერთი მდგრადი პლატფორმა არ შექმნილა, რომლის ფარგლებშიც ამ საკითხის განხილვა მოხდებოდა“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ტელეარხ Euronews-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ასევე აღნიშნა, რომ „ნორმანდიის ფორმატში“ არავის სურს ყირიმზე საუბარი, ხოლო მთელი ყურადღება კი დონბასში მიმდინარე კონფლიქტს ეთმობა. ამასთან ერთად მან განაცხადა: **„ვფიქრობ, ევროკავშირს ნამდვილად სურს უკრაინასთან პარტნიორობა, უკრაინის ევროკავშირის შემადგენლობაში ხილვა. თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას ეს არ სურს. ვფიქრობ, უკრაინაში ასი პროცენტით დარწმუნებულნი არ არიან“.**

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ასევე აღნიშნა, რომ **„ევროპა რუსეთის გამო ფრთხილობს, რადგან რუსეთი აჩვენებს, რომ მას პროევროპული უკრაინა არ სურს“.**

ახლა ბელარუსის ოპოზიციას დასავლეთი მართავს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან სტივენ ბიგანთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ „ბელარუსის ოპოზიციას დასავლეთი მართავს“.

„ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარებისა და შემდგომში საყოველთაო არჩევნების გამართვის ინიციატივით გამოვიდა. ვფიქრობ, მან ხელი გაუწოდა მათ, ვინც დაინტერესებულია სტაბილური და ერთიანი ბელარუსით. რა თქმა უნდა, ეს ოპოზიციამ უნდა შეამჩნიოს და ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც, რომლებიც ახლა ოპოზიციას მართავენ“, — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ბაიდენის პრეზიდენტობა ჩინეთის ინტერესებშია

„რესპუბლიკური პარტიის“ ეროვნულ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტის ვაჟმა დონალდ ტრამპ-უმცროსმა განაცხადა, რომ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები ჩამოყალიბდა, როგორც ეკლესია, სამსახური და სკოლა არეულობის, მაროდიორობისა და ვანდალიზმის წინააღმდეგ.

მისივე თქმით, ჯო ბაიდენის პრეზიდენტობა ჩინეთის ხელისუფლების ინტერესებშია. **„მათ იციან, რომ ჯო ბაიდენი დაგვასუსტებს როგორც ეკონომიკურად, ისე მსოფლიო ასპარეზზე“,** — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის ვაჟმა.

ვიქტორ რცხილაძის ხელხვავი



ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებულები

ახლახან გამომცემლობა **„საარმა“** გამოსცა ცნობილი მთარგმნელისა და ფილოსოფოსის **ვიქტორ რცხილაძის „ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული“,** სადაც პირველად ითარგმნა გამოჩენილი გერმანელი სამართალმცოდნისა და ფილოსოფოსის **კარლ შმიტის „პოლიტიკური თეოლოგია“,** ასევე პირველად ითარგმნა დიდი რუსი ფილოსოფოსის **ალექსეი ლოსევის „რა არის სატანიზმი“** და, სხვა წერილებთან ერთად, გამოჩენილი გერმანელი თეოლოგის **ვოლფჰარტ პანენბერგის** ნაშრომი — **„ათეიზმის ტიპები და მათი თეოლოგიური მნიშვნელობა“.**

წიგნს ერთვის ვიქტორ რცხილაძის კომენტარები და პუბლიცისტური წერილები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 28 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0778; ევრო - 3.6429;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0421;
100 რუბლი - 4.1219; თურქული ლირა - 0.4161;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8117;
1000 სომხური დრამი - 6.3410.

ამინდი 27 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +29
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +29
თბილისი: ღამე +16, დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge